საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 24 ოქტომბერი. 2018 წ. №212 (8613) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გურამ საღარაძე:

სანამ სამართლიანობა არ აღდგება, ქვეყანას არაფერი ეშველება! 5

მხარი – დღევანდელს თუ საძულველ გუშინდელს?!. 6

ტერაქტები, გვამების დანაწევრება, ყალბი ფულის მოჭრა... 10

ანტისტალინური სისაძაგლე 11

იაფი პოლიტიკის ძვირი ფასი 4

ღვინო უყურძნოდ – აფხაზეთიდან 7

31 წლის ფიზიკოს ზურაბ გუგუჩიას საერთაშორისო აღიარება 12

ამერიკული ნავთობკომპანია საქართველოს რესურსების შესწავლას იწყებს

„ექსონმობილი“ საქართველოში გეოლოგიურ შესწავლას იწყებს. 23 ოქტომბერს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოსა და კომპანია „ექსონმობილს“ შორის გეოლოგიური და გეოფიზიკური მასალების შესწავლის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა, რომელსაც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ქობულია დაესწრო.

ხელმოწერილი ხელშეკრულების ფარგლებში კომპანია დასავლეთ საქართველოს ნახშირწყალბადების პოტენციალის შეფასებას განახორციელებს. მხარეები შეთანხმდნენ, რომ სააგენტოს მიერ გადაცემული გეოლოგიური და გეოფიზიკური მონაცემების შესწავლის დასრულების შედეგად „ექსონმობილი“ მოამზადებს ანგარიშს და ინტეგრირებულ მონაცემთა ბაზას, რომლებსაც სახელმწიფოს გადასცემს. კომპანიის წარმომადგენლის ჯონათან უილსონის განცხადებით, ისინი მოხარულები არიან საქართველოს მხარესთან თანამშრომლობით და იმის შესაძლებლობით, რომ გამოიყენონ გამოცდილება საქართველოს ნახშირწყალბადების პოტენციალის შესასწავლად.

„ExxonMobil4-ის სახელით მინდა მოგახსენოთ, რომ მოხარულები ვართ აქ ყოფნით და იმით, რომ ხელი მოვაწერეთ თანამშრომლობის ხელშეკრულებას. ათწლეულზე მეტია, რაც შავ ზღვასა და ახლომდებარე რეგიონებში ვმუშაობთ და მზად ვართ, ჩვენი ცოდნა და გამოცდილება საქართველოს პოტენციალის შესაფასებლად გამოვიყენოთ. ვიმედოვნებთ, რომ მჭიდროდ ვითანამშრომლებთ შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან. ასევე ძალიან სასიამოვნოა, რომ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ამ ულამაზეს ქალაქში, თბილისში მოხდა“, – აღნიშნა ჯონათან უილსონმა.

„არ ვართ ვალდებულნი, დავემორჩილოთ კონსტანტინოპოლის პატრიარქს“

რუსეთის საპატრისარქოში აცხადებენ, რომ არ არიან ვალდებულნი, დაემორჩილონ კონსტანტინოპოლს.

ეს განცხადება რუსულმა ეკლესიამ მას შემდეგ გააკეთა, რაც კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ბართოლომეოსმა განაცხადა, რომ ადრე თუ გვიან მოსკოვი ვალდებული გახდება, დაემორჩილოს კონსტანტინოპოლის პატრიარქის უკრაინის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების გადაწყვეტილებას. **„მართლმადიდებელთა მსოფლიო კრება არ ანიჭებს კონსტანტინოპოლის პატრიარქს რაიმე პრივილეგიებს, გარდა პატივისცემის პრივილეგიისა, რაც არ აძლევს მას მისი ეკლესიის ფარგლებს გარეთ, სხვა უფლებამოსილებებს. შესაბამისად, არ ვართ ვალდებულები, კონსტანტინოპოლის გადაწყვეტილებებს დავემორჩილოთ“,** – განაცხადა მოსკოვის საპატრიარქოს წარმომადგენელმა იგორ იაკიმჩუკმა.

100 წლის გაზეთი

თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ქაღალდისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

„ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა...“

ასე ამბობდა გაიუს იულიუს კეისარი

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

ანონსი

ხვალიდან ვაგრძელებთ „ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა...“ რუბრიკას. ბოლოს ჩვენი მკითხველი გაეცნო XX საუკუნის გენიალური მხატვრის სალვადორ დალის ცხოვრებასა და ნააზრევს. ამჯერად ჩვენი „სტუმარია“ რომის იმპერიისა და ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი გაიუს იულიუს კეისარი (დაიბადა 100 ან 102 წლის 12 ივლისს; დაიღუპა 44 წლის 15 მარტს).

თეა წულუკიანი „კაპიტან“ გიგაურის წინააღმდეგ

ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ მინისტრმა თეა წულუკიანმა არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო“ კოპენჰაგენის საერთშორისო ანტიკორუფციულ კონფერენციაზე გააკრიტიკა და თქვა, რომ შესაძლოა, ორგანიზაციის ხელმძღვანელს ეკა გიგაურს წვლილი მიუძღოდა 7 ნოემბრის აქციის დაშლაში.

„საქართველოში ძალიან მდიდარია სამოქალაქო საზოგადოება. ორ საათში ყოველგვარი დაბრკოლების გარეშეა შესაძლებელი არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნა. საქართველოში ნიადაგი ნოყიერია არასამთავრობოებისთვის, რომ დაფუძნდნენ, გაიზარდონ და იყვნენ აქტიური სოფლებში, პატარა ქალაქებში და დიდ ქალაქებშიც. სამწუხაროდ, ახლა შევეჯახეთ ახალ ვითარებას, სადაც ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია საუბრობს მთელი სამოქალაქო სექტორის სახელით და ამის გამო მას კოლეგები აკრიტიკებენ. თუმცა, მთავრობის საქმე არ არის ამის განსჯა. ენჯეოების შიდა დავებს აქ ვერ განვიხილავთ. მაგრამ ბატონი ონიანის ყოფნა ადასტურებს, რომ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება ენერგიულია, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ, ენერგიული იყვნენ არამხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ გადაკვეთონ საზღვარი, ჩამოვიდნენ დანიაში და უკან გამოჰყვნენ იუსტიციის მინისტრს“, — თქვა წულუკიანმა.

თეა წულუკიანმა ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც პანელზე სიტყვით გამოსვლის დროს მას „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე გიორგი ონიანმა საქართველოში არსებული ელიტური კორუფციის შესახებ კითხვა დაუსვა.

თეა წულუკიანმა ამ შეკითხავს არ უპასუხა და „გამჭვირვალობა“ და ეგა გიგაური გააკრიტიკა.

„არ მინდა, ღრმა დისკუსიაში შესვლა აქ, რადგან იყო დიდი სკანდალი „საერთაშორისო გამჭვირვალობის ხელმძღვანელის“ ირგვლივ. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი, როგორც ცნობილია შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი და ყოფილი მმართველი პარტიის წევრი იყო. ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფმა დოკუმენტებით აჩვენა, რომ მან შესაძლოა, ხელი შეუწყო 7 ნოემბრის მშვიდობიანი მანიფესტაციის დაშლას. ახლა სასამართლოში განიხილება საქმე. ის კი უარს ამბობს გამოცხადდეს და შეკითხვებს უპასუხოს. არ მინდა, ღრმად შევიდე კამათში, მაგრამ საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობის ხელმძღვანელი“ შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი იყო და, სავარაუდოდ, წვლილი შეიტანა ან მონაწილეობდა მშვიდობიანი მანიფესტაციის დაშლაში, რომლის დროსაც დაიღუპა 1 და დაშავდა რამდენიმე ადამიანი“, — აღნიშნა წულუკიანმა.

* * *

ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ **არავინაა მთავრობაში და მაინც მოგიწევთ ჩემთან მოსვლა, როდესაც თქვენი უფლებები დაირღვევა, როგორც ამას 2012 წელს აკეთებდით, — ამის შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის მისამართით წერს, რომელმაც კოპენჰაგენის ანტიკორუფციულ კონფერენციაზე განაცხადა, რომ ეკა გიგაური, სავარაუდოდ, მონაწილეობდა 7 ნოემბრის მშვიდობიანი მანიფესტაციის დარბევის ხელშეწყობაში, თუმცა დღემდე სასამართლოში არ გამოცხადებულა.**

როგორც გიგაური სოციალურ ქსელში წერს, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისთვის „მის სატელიტებს უჩივლა“.

◎ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲐᲡᲢᲣᲠᲑᲐᲪᲘᲐ

მოდი, ვნახოთ გვარამია...

ისევ ბუკიას ბალში მოსმენილი

— ᲛᲒᲚᲘᲡᲐ და ცხვრისა არ იყოს, ვირთხა და კატაც ხო ვნახეთ ორშაბათს „ცრუსთავი-2“-ის ეკრანზე.

— არა, მაგ უხსენებელთა ბუდეს არ ვუყურებ. რა იყო, რა ვირთხა, რა კატაო?

— რა და, გვარამია გულში კატაჩახუტებული ლანძღავდა „ოცნებას“ უშვერად თავის საპრეზიდენტო კანდიდატიანად, თუ მაგ მოღალატე ქალმა გაიმარჯვა, ერთი დღე აღარ გავჩერდები საქართველოშიო.

— ეგ რა კარგი რამე უთქვამს... მაგრამ ქოსატყუილა ვირთხა ვითომ ნათქვამს შეასრულებს?! ჭყონდიდელი პეტრე ცაავას ლოცვა-კურთხევა თუ უშველის...

— ეგ, ცაავა, ჩემო ბატონო, მეუფე კი არა, გაქანებული პოლიტოლოგია. ტოლს არ უდებს არც თორნიკეს, შარაშენიძეს და არც იუდას ნატამალს, ხუხაშვილის გვარით რომ გვმოძღვრავს. ეს ჩვენი საყვარელი ჯანუკის გოგო ხომ უბერავს და უბერავს. სელაპა ვაშაძეზე სხვა აზრის მქონე ცოტა მოშორებით თუ არ უზის, ეგრევე თვალებს დასთხრის.

— აბა, როგორ? ჯერ პრეზიდენტის აპარატის უფროსი გახდება და ნაციონალების ისევ გაჯეჯილების ხანაში კულტურის მინისტრობას მოირგებს. აბა, რა ეგონა „ოცნებას“, მინისტრის მოადგილეობაც რომ დაამადლა!

— მაგ თვითმარქვია მთავარ არხზე ყველას კი არ ეძახიან, გენაცვალე, მანდ მისვლა თავისებური ტრამპლინია ერთ მდინარეში ორჯერ შესვლისთვის თავგადაკლული ნაციონალების გამარჯვების შემთხვევაში.

— ისე არ აუდგათ მაგათ გვერდები! ხო ხედავ, ნელ-ნელა რა ტრაგედიებს ეხდება ფარდა. ჟვანიასა და პატარკაციშვილის სულები არ მოასვენებენ ცოლოურში გადახვეწილ სააკაანთ ბიჭს, რომელიც საქართველოსკენ მომავალ გზაზე ჩახერგილი პოლიტიკური კუნძების გასაპობად ვაშაძესაც და ბაქრაძესაც სოლებად იყენებს.

— ამაოდ ცოდვილობს ეგ ავანტიურისტი. სანდრაც როგორი გააგიტატორებულია. ისევ გაპირველლედობამოწყურებული ხან რომელ ტრიბუნაზე დგას და ხან რომელზე.

— ფუფუნებამ და უზრუნველმა ცხოვრებამ მიჩვევა იცის, ჩემო ბატონო. ისე, არა მგონია, ხალხიც იმ აზრზე იყოს, რომ ისევ ჯალათი ნაციონალები მოიყვანოს ქვეყნის სათავეში.

— ევროპა გვინდა, ევროპა გვინდაო, რომ გაიძახიან, აგერ, ბატონო, სალომე ზურაბიშვილი, ევროპაში დაბადებული და აღზრდილი ადამიანი, რომელიც თავისი ხუთი თითივით იცნობს ევროპას. ევროპა რა, თვითონ ხო არ მოვა, სალომე სწორედ სააკაშვილის შუშის ხიდზე ბევრად ფუძემტკიცე ხიდი იქნება ევროპასა და საქართველოს შორის.

— დიახაც, სალომეს ხიდობა არ უნდათ ნაციონალებს, რომელთა გამხმიანებელიც ბრძანდება მიტაცებული „მთავარი“ ტელეარხის „გენერალური“, გულში კატაჩახუტებული ვირთხუნა გვარამია, რომელიც, თავისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, თურმე „მძღნერში ჩაფლული“ გველაპარაკება (ეტყობა, თავისი ბატონის განავალს გულისხმობს) და ისევ იმისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, 28 ოქტომბერს „საბოლოოდ დაენძრევა“ „ოცნებას“, რომლის დღეებიც თურმე დათვლილია.

— ვნახოთ, როგორი გათვლა იცის სოხუმიდან ლტოლვილმა, პოლიტიკური მასტურბაციის დიდოსტატმა გვარამიას ბიჭმა, რომელიც საფრანგეთში გაზრდილ სალომეს ქართულს უწუნებს და სწორედ ამ დაწუნების დროს სადაც უნდა თქვას: „იმათ მითხრეს“, პირიქით ამბობს: „იმათმა მითხრესო“, „მისი“ და „თავისი“ ხო საერთოდ ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია.

— ისე, კაცმა არ იცის, წიწაკიანი კაცუნას კატასთან მეგობრობა როგორ დამთავრდება. ვაითუ ჩვენც მოგვიწიოს იმის თქმა, მოდი, ვნახოთ გვარამია (რასაკვირველია, თავის თანამეაქცენტე ეკუნია კვესიტაძესთან ერთად), რამ შეჭამა გვარამია...

ᲩᲐᲘᲬᲔᲠᲐ
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲛᲐ

ზაზა ოქუაშვილი არც ბიუჯეტში იხდის თანხას და არც ტელევიზიის თანამშრომლებს უხდის ხელფასს

ᲐᲛᲘᲡ შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გია ვოლსკიმ განაცხადა. მისი თქმით, ოქუაშვილის ქმედებები თაღლითობაა.

„ვფიქრობ, საკმაოდ მიკერძოებულად და დიდი დოზით დეზინფორმაციით მოქმედებს ზაზა ოქუაშვილი, რომელიც არც ბიუჯეტში იხდის თანხას და არც ტელევიზიის თანამშრომლებს უხდის ხელფასს. ამ ადამიანთან გვაქვს საქმე და მე ამას სამართლებრივ შეფასებას ვერ მივცემ.

ეს ადამიანი ჩანაწერებს აკეთებს, რაღაც განცხადებებით გამოდის და სახელმწიფოს ბიუჯეტში არ იხდის თანხას და აშკარად იტყუება, როდესაც ამბობს, რომ არანაირი შეთავაზება კომპრომისთან დაკავშირებით არ ჰქონდა. მე ვფიქრობ, რომ ეს თაღლითობაა“, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

„კავკასიას“ ყადაღას მოუხსნიან

„ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ“ ხელმძღვანელის ნინო ჯანგირაშვილის ინფორმაციით, შემოსავლების სამსახურიდან დაუკავშირდნენ და აცნობეს, რომ საგადასახადო დავალიანების

დაფარვის გრაფიკი გაფორმებულია და ყადაღა მოიხსნება. სოციალური ქსელით ამ ინფორმაციის გავრცელებამდე დაახლოებით ერთი საათით ადრე ნინო ჯანგირაშვილმა ფეისბუქზე დაწერა:

„რახან უზარმაზარი ბიზნესიმპერიების მფლობელებს არ ერიდებათ წუწუნი, დავალიანებებზე და გრაფიკებზე ღიად ლაპარაკი, მოდი მეც გეტყვით საინტერესო ამბავს, მითუმეტეს, რომ ხელისუფლების საინტერესო დამოკიდებულება იკვეთება კავკასიის მიმართ. გუშინდელი მდგომარეობით, კომპანიის საგადასახადო დავალიანება მიმდინარე, ანუ 15-ში დეკლარირებული და ძველი, ანუ გრაფიკით გადანაწილებული დავალიანება ჯამში შეადგენდა 12 540 ლარს. გრაფიკით დადგენილს ვიხდით ზუსტად. მიმდინარე დაგვიგვიანდა. ხოდა, აი დღეს უკვე გამოსცეს ტელეკომპანიის დაყადაღების ბრძანება. რასაც გულისხმობს შეგიძლიათ აქ წაიკითხოთ. პრაქტიკულად ტელევიზიის პარალიზებას. ამჟამად დავალიანება შემცირებულია 8500 ლარამდე და დარჩენილ დავალიანებაზე ახალი გრაფიკის შესადგენად მივმართეთ საგადასახადოს. ვნახოთ, რას იზამენ. კობახიძის სპეტაკი სახით გაკეთებული კომენტარი წარმომიდგენია ამ თემაზე და ამიტომ წინასწარ გავცემ პასუხს: თქვენი დეპუტატებივით ფოკუზნიკი კი არ ვარ, მიზერული შემოსავლებით სასწაულები მოვახერხო. დამოუკიდებელი მედია სულს ღაფავს ამ ქვეყანაში. მადლობა ბატონო ბიძინი, სისხლიანი რეჟიმისგან რომ გაგვათავისუფლეთ“.



„იბერიის“ თანამშრომლები ხელფასებისა და კომპენსაციის ანაზღაურებას ითხოვენ

ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „იბერიის“ თანამშრომლები ხელფასებისა და კომპენსაციის ანაზღაურებას ითხოვენ. გამაფრთხილებელი აქცია თანამშრომლებმა, პროფკავშირების წარმომადგენლებთან ერთად, ტელეკომპანიის შენობასთან გამართეს. „იბერიის“ თანამშრომლები დავის გაგრძელებას სასამართლოში აპირებენ.

ჩემი ხმა ღირსეულ ქალბატონს!

არჩევნებამდე სულ რამდენიმე დღე დარჩა. საპრეზიდენტო კანდიდატებიდან მე ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს გამოვარჩევდი. იგი მართლაც ღირსეულია მათ შორის – თავისი ინტელექტით, პროფესიონალიზმით, საქმისადმი ენერგიული დამოკიდებულებითა და განვლილი ცხოვრების წესით. მეამაყება, რომ კოლხური სისხლი უდუღს ძარღვში. ემიგრაციაში დაბადებულმა და გაზრდილმა ქალბატონმა არ უღალატა თავისი დიდებული წინაპრების საქმეს და ერთგულად ატარა უცხოეთში სამშობლოს სიყვარული და ტრადიციები.

იგი მართლაც გამორჩეულია და მე ჩემს ხმას ვაძლევ მის სასარგებლოდ.

ოტია სარჩიმელია,
გადამდგარი პოლკოვნიკი, ომის ვეტერანი.

◎ წკეპლიკა

არავითარი კოჰაბიტაცია, დამნაშავეთა კასტა საგანგებოდ უნდა დაისაჯოს!

როგორ ატარებთ ამდენ ბოღმას, ღვარძლს, უზნეობას, ნაცებო? ასე როგორ შეიშალეთ სკამის დაკარგვის შიშით? თქვენმა საქციელმა ნიცშეს სიტყვები გამახსენა: „ისინი ტახტისკენ ისწრაფვიან, ესაა მათი შეშლილობა. მცოცავი მაიმუნები... სიმყრალით სავსეა მათი კრებული“.

ძალაუფლებადაკარგულებს ისღა დაგრჩენიათ, არიოთ ქვეყანა. ამას მოგიწოდებთ მშიშარა, ჰალსტუხღეჭია, თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე მიწაზე მხოხავი თქვენი მამა-მარჩენალი. სწორედ არეული საქართველო აწყობთ პუტინს და სააკაშვილს, სუკის სკოლაში აღზრდილ ავანტიურისტს.

ნაციონალური მოძრაობა დამნაშავეთა კასტაა, იგი უმკაცრესად უნდა დაისაჯოს, არავითარი კოჰაბიტაცია!!!

ლონდა მდივანი

არჩევანი – მე, არადანი – შენ!

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები რეგისტრირებული პრეზიდენტობის კანდიდატები:

დავით ბაქრაძე, „ევროპული საქართველო“ – 2
ზვიად ბაღდავაძე, „სამოქალაქო პლატფორმა – ახალი საქართველო“ – 27
მიხეილ სალუაშვილი, „სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე“ – 28
შალვა ნათელაშვილი, „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ – 10
ირაკლი გორგაძე, „მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის“ – 23
გრიგოლ ვაშაძე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 5
გიორგი ლილუაშვილი, პარტია „საქართველო“ – 17
სალომე ზურაბიშვილი, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი – 48
ზვიად მეხატიშვილი, „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“ – 13
ვახტანგ გაბუნია, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა – 4
დავით უსუფაშვილი, „თავისუფალი დემოკრატები“ – 25
ბესარიონ თედიაშვილი, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი – 49
ლევან ჩხეიძე, „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“ – 40
ზვიად იაშვილი, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ (ედპ) – 30
ზურაბ ჯაფარიძე, „გირჩი“ – 36
აკაკი ასათიანი, „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი“ – 18
გელა ხუციშვილი, „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“ – 35
კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველო“ – 21
თამარ ცხორაგაული, პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლება ზვიად გამსახურდიას გზა“ – 31
გიორგი ანდრიაძე, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი – 51
ვლადიმერ ნონიკაშვილი, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი – 62
კახაბერ ჭიჭინაძე, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი – 58
მიხეილ ანთაძე, „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“ – 1
ოთარ მეუნარგია, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – 22
თეიმურაზ შაშიაშვილი, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი – 65

რედაქციისგან:

პრეზიდენტობისთვის ბრძოლა „უმუშევართათვის“ ფულის შოვნის საუკეთესო საშუალებაა!..
25-ე ხომ არ აგვერჩია?!
ალბათ, მაშინ ნამდვილად გვეშველება!

ოპოზიციის კიდევ ერთი დეზინფორმაცია

გაერთიანებულმა ოპოზიციამ გაავრცელა დეზინფორმაცია, თითქოს პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ საჯარო მოსამსახურეებზე, კერძოდ, თბილისის სატრანსპორტო კომპანიის თანამშრომლებზე ზეწოლას ახორციელებს და სალომე ზურაბიშვილისთვის ხმის მიცემას აიძულებს, – ამის შესახებ თბილისის სატრანპორტო კომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

სატრანსპორტო კომპანია მიმართავს შესაბამის უწყებებს, გამოიძიონ ფაქტი, რადგან პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი და ამ ადამიანთა უფლებები დაირღვა.

„თბილისის სატრანსპორტო კომპანია ეხმიანება გაერთიანებული ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატის გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო შტაბში ლევან ხაბეიშვილის მიერ გამართულ ბრიფინგს, სადაც სატელეფონო ჩანაწერები წარმოადგინეს.

გაერთიანებულმა ოპოზიციამ გაავრცელა დეზინფორმაცია, თითქოს პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ საჯარო მოსამსახურეებზე, კერძოდ, თბილისის სატრანსპორტო კომპანიის თანამშრომლებზე ზეწოლას ახორციელებს და სალომე ზურაბიშვილისთვის ხმის მიცემას აიძულებს.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ გავრცელებული ინფორმაცია არის მიზანმიმართული პროვოკაცია და სრული სიცრუე. სატრანსპორტო კომპანიის ყველა თანამშრომელს აქვს კანონით გარანტირებული თავისუფლება, გააკეთოს საკუთარი არჩევანი და ამაში ვერავინ ჩაერევა. მსგავსი მითითება კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან არ გაცემულა.

მოვუწოდებთ პოლიტიკურ პარტიებს, ნუ ცდილობენ ბოროტად გამოიყენონ კომპანიის თანამშრომლები საკუთარი ამოცანებისთვის და ნუ შეუშლიან ხელს მათ თავიანთი საქმიანობის განხორციელებაში. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც თავდაუზოგავად ემსახურებიან ქალაქს.

ასევე, მივმართავთ შესაბამის უწყებებს, გამოიძიონ ფაქტი, რადგან პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი და ამ ადამიანთა უფლებები დაირღვა“, – ნათქვამია განცხადებაში.

ზურაბიშვილი ხალხური მედიცინის ხელშეწყობას გეგმავს

„ქართული ოცნების“ მხარდაჭერილი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი არჩევის შემთხვევაში მოსახლეობას ხალხური მედიცინის მხარდაჭერას ჰპირდება. ამის შესახებ მის ოფიციალურ გვერდზე, salome.ge-ზე ჩამოთვლილ პრიორიტეტებში წერია:

„იმ დიდი პოტენციალისა და ტრადიციების განვითარების ხელშეწყობა, რაც ისტორიულად გვაქვს მედიცინის სფეროში (ფარმაცია და ხალხური მედიცინა, ფაგები, კურორტოლოგია);

დაავადებების პრევენციისთვის მუშაობის გააქტიურება;

უშუალოდ პრეზიდენტის მხარდაჭერა და ლობირება ონკოლოგიის ცენტრის შესაქმნელად, რათა მოქალაქეებს ჰქონდეთ ადგილზე მკურნალობის შესაძლებლობა“. წერია ზურაბიშვილის საარჩევნო პრიორიტეტებში.

◎ თანამედროვე ფოლკლორი

წინასაარჩევნო შაირები

გ.ვ.

ვაშაძისასა ამბობენ
რაღაც ცოტა რამ ანცობას,
ვაითუ მართალი არის, –
დააღალატა კაცობამ.
მაშ, რად იჩემებს ჯიუტად
არჩევნების წინ ვაცობას?!
ველარც ულვაში უშველის,
ვერც „შენიღბული“ ნაცობა...

დ.ბ.

ბაქრაძეს ფული არ უყვარს,
ის ცარიელი გულია,
ნაციონალებს აღარ სცნობს,
მიზანი ევროპული აქვს.
სიმამრმა დააფინანსა,
პრეზიდენტობა სწყურია,
რასაც გვპირდება, იცოდეთ,
ჰაერში დაკარგულია.

შ.ნ.

ნუ აწყენინებთ ამჯერად
ნათელაშვილსა შალიკოს,
კუკავას ბევრად აჯობებს,
ახლა მაინც არ გარიყოთ,
რათა მდიდართა ქონება
სულ ღარიბებში არიგოს.
მიეცით საშუალებად,
სიკეთე ითადარიგოს,
არ გააგიჟოთ საწყალი,
არა, ღალატი არ იყოს!

დ.უ.

უსუფაშვილსა დავითსა
მეტის ქმნა უნდა წინაო,
მართლაც ბევრს შეაძლებინებს
მარშალი ცოლი თინაო,
რომელმაც თავის მარშლობით
ყველანი გაგვაცინაო,
ისე დაიცვა საზღვრები,
სულ მშვიდად დაგვაძინაო,
ქმრად პრეზიდენტს თუ გაიხდის,
მერე აჯობებს ვინაო...

ვაჟა დუშელი,
პრეზიდენტ მარგველაშვილის შორიახლო მეზობელი დუშეთში.



იაფი პოლიტიკის ძვირი ფასი

2018 წელს სახელმწიფომ ჯამში მილიონ ლარამდე დახარჯა არჩევნების ჩატარების ღონისძიებებსა და პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაზე. საქართველოში არჩევნების ჩატარება საშუალოდ 40 მილიონი ლარი ჯდება, პარტიების შენახვა კი წელიწადში 12-დან 15 მილიონ ლარამდე.

2018 წლის ივნისში NDI-ის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, საქართველოს მოსახლეობისთვის სამი ყველაზე მწვავე პრობლემა სამუშაო ადგილები, სიღარიბე და ინფლაციაა. ამავე კვლევის თანახმად, მოსახლეობისთვის საბიუჯეტო თანხების ხარჯვა ყველაზე მეტად სასურველია ჯანდაცვისა და განათლების სფეროებში, ასევე პენსიების ზრდისთვის, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისა და ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის.

2017 წლის მონაცემებით, 39 პოლიტიკურმა პარტიამ 39 მილიონ ლარზე მეტი დახარჯა რეკლამაში, მივლინებებსა და ხელფასებში. ამ თანხის ორი მესამედი (20 607 450 ლარი) მმართველ გუნდზე მოდის.

თითო არჩევნების ჩატარებისთვის ქვეყანა დაახლოებით იმდენ ფულს ხარჯავს, რასაც პროფესიულ სამხედრო განათლებაზე (43 მილიონი), საერთაშორისო სამშვიდობო მისიებსა (40 მილიონი) და პროფესიულ განათლებაზე (40 მილიონი).

ერთი არჩევნების ორგანიზებისთვის საჭირო თანხა უტოლდება იმუნიზაციაზე (22 მილიონი), შიდსის მართვაზე (10 მილიონი), ქრონიკული დაავადებების მქონე პირების მედიკამენტებით უზრუნველყოფაზე (10 მილიონი ლარი) და ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობაზე (9 200 000) გაწეული ხარჯების ჯამს.

არჩევნების ადმინისტრირებაზე ბიუჯეტიდან დახარჯულ მილიონებზე არანაკლებ შთამბეჭდავია პარტიების წინასაარჩევნო ხარჯები.

2017 წლის მონაცემებით, 39 პოლიტიკურმა პარტიამ 39 მილიონ ლარზე მეტი დახარჯა რეკლამაში, მივლინებებსა და ხელფასებში. ამ თანხის ორი მესამედი (20 607 450 ლარი) მმართველ გუნდზე მოდის.

როგორ ნაწილდება პარტიების დაფინანსებისთვის განკუთვნილი საბიუჯეტო თანხები

აუდიტის სამსახურისა და 2017 წლის მონაცემებით, ბიუჯეტიდან დაფინანსებას იღებდა 20-ზე მეტი პარტია.

ბიუჯეტიდან მათთვის გამოყოფილი თანხები იმდენივეა, რაც დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობისთვის, დევნილთა საარსებო მინიმუმისთვის, ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადებისა და ელექტრონული სწავლებისთვის გამოყოფილი ფული ერთად.

ბიუჯეტიდან პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მიზანია პოლიტიკური დაფინანსების სფეროში კორუფციის თავიდან აცილება, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება და ჯანსაღი საარჩევნო გარემოს შექმნა. ქართულ პოლიტიკაზე დაკვირვება აჩენს კითხვებს, რამდენად ემსახურება მიზანს დახარჯული მილიონები?

როგორ ნაწილდება პარტიებისთვის გამოყოფილი თანხები კონკრეტულ პოლიტიკურ ძალებსა და საქმიანობაზე

2017 წელს „ქართულმა ოცნებამ“ ბიუჯეტიდან თითქმის 4 მილიონი, 3 946 576 ლარი მიიღო. აქედან 199 296 ლარი სატელევიზიო რეკლამებისთვის და საარჩევნო კამპანიის ფონდის დაფინანსებისთვის იყო განკუთვნილი.

„ქართული ოცნების“ შემდეგ ყველაზე დიდი თანხა 2017 წელს ერთიან ნაციონალურ მოძრაობას აქვს მიღებული და ის 2 548 234 ლარს შეადგენს. დაახლოებით ამდენივე, 2 255 973 ლარი მიიღო 2017 წელს ევროპულმა საქართველომაც.

ბიუჯეტიდან სოლიდურ თანხებს იღებენ არა მხოლოდ ის პარტიები, რომელთა წევრებიც პარლამენტში ხვდებიან და პოლიტიკურ ცხოვრებაში მეტ-ნაკლებად აქტიურად მონაწილეობენ, არამედ ის პარტიებიც, რომლებიც თითქმის უხილავები არიან. მაგალითად, 2017 წელს „საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირმა“ 533 017 ათასი მიიღო ბიუჯეტიდან, „თავისუფლება – ზვიად გამსახურდიას გზამ“ – 543 421 ათასი, პარტიამ „ახალი ქრისტიან-დემოკრატებმა“ – 543 017 ათასი ლარი.

ამ თანხების დიდი ნაწილი ხელფასებზე მოდის: მაგალითად, პოლიტიკურმა პარტიამ „თავისუფლება – ზვიად გამსახურდიას გზამ“ 2017 წელს მიღებული დაფინანსების ნახევარზე მეტი, 306 517 ლარი დახარჯა ხელფასებზე, მრეწველობა გადაარჩენს საქართველომ კი ხელფასების გარდა, პრემიებიც გასცა და ჯამში მათმა რაოდენობამ 237 300 ლარი შეადგინა მხოლოდ 2017 წელს.

ნასტია არაბული

პეკინის ქუჩაზე – არალეგალურად!

აგერ უკვე სამ თვეზე მეტია, რაც თბილისს სამშენებლო ციებ-ცხელება სჭირს. დედაქალაქის ერთბაშად რამდენიმე რაიონში, მათ შორის საბურთალოზე, რატომღაც ერთდროულად მიმდინარეობს ქუჩების სავალი ნაწილების შეკეთება და მიწისქვეშა კომუნიკაციების შეცვლითი სამუშაოები. ძნელი სათქმელია, რამდენად გამართლებული იყო ამგვარი გადაწყვეტილება, რომელ გონიერ ჩინოსანს მოუვიდა აზრად ყველაფრის ერთბაშად გაკეთება და რა „მაღალი“ მატერიებით ხელმძღვანელობდა...

ამ „გენიოსობის“ გამო დედაქალაქი მთელი რვა თვის მანძილზე, პრაქტიკულად, პარალიზებული იყო. მაგალითად, ვთქვათ, თუ საბურთალოდან ჟვანიას მოედნამდე და შემდეგ ქალაქის სხვა რაიონამდე შედარებით ადვილი იყო მიღწევა, უკანა გზას გაცილებით დიდი დრო სჭირდებოდა: მერიის წინ საკაძის მოედანზეც დილიდან გვიან საღამომდე უზარმაზარი საცობები იქმნებოდა, ვერც ფეხით გაივლიდა ადამიანი და ვერც ტრანსპორტით!

ამ სიძნელეებისა და შეფერხებების გამო, რომლებიც თბილისელებს სარემონტო ციებ-ცხელების მიზეზით შეხვდათ, დედაქალაქის მერიის რამდენიმე მაღალჩინოსანმა მხოლოდ რაღაც ბოდიშის მსგავსი მოიხადა, აქაოდა ყველაფრის გაკეთება სწორედ ასე ერთდროულად იყო საჭიროო. ეს იყო და ეს. ყველაზე გულდასაწყვეტი კი ის არის, რომ ბევრი პრობლემა ადვილად მოგვარდებოდა, მერიაში მოქალაქეებისთვის ყველაზე მინიმალური პირობის შექმნაზე მაინც რომ ეზრუნათ. მაგალითისთვის, ავიღოთ თუნდაც №14 ავტობუსი, რომელიც დიდი დიღმიდან ზურაბ ჟვანიას მოედნის გავლით შარტავას ქუჩით მერიის მიმართულებით მოძრაობდა, ახლა კი შარტავას ქუჩის რემონტის პერიოდში, პირდაპირ პეკინის ქუჩით 26 მაისის მოედნისკენ მიემართება. პირველი გაჩერება ამ მარშრუტზე საბურთალოს რაიონის პოლიციის განყოფილებასთანაა. თითქოსდა, ამაზე ადვილი რა უნდა იყოს: შესაბამისი სამსახურების მუშაკებს ქალაქის ტრანსპორტის მოძრაობაზე პასუხისმგებელ პირებს უნდა ეზრუნათ იმაზე, რომ №14 ავტობუსის მოძრაობის ახალი მიმართულება გაჩერებებზე ელექტორნულ ტაბლოებზე დაფიქსირებულიყო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! როგორც უკვე ითქვა, სამ თვეზე მეტია, №14 მარშრუტის ავტობუსი მთელ პეკინის ქუჩაზე „არალეგალურად“ ისე დადის, რომ მისი გადაადგილება ელექტრონულ ტაბლოებზეც არ ფიქსირდება. მგზავრები დიდხანს დგანან გაჩერებებზე და არ იციან, როდის გამოჩნდება ავტობუსი. არადა, დედაქალაქის მერიაში ამის შესახებ მშვენივრად არიან ინფორმირებულნი. ამ სტრიქონების ავტორმა ორჯერ დავრეკე მერიის „ცხელ ხაზზე“ ტრანსპორტის სამსახურში და აღნიშნული საკითხის გადაჭრა ვთხოვე. პირველად ეს №14 ავტობუსის მარშრუტის შეცვლის შემდეგ მოხდა, მეორედ – ერთი კვირის შემდეგ. ორივე შემთხვევაში ჩემს თანამოსაუბრეებს გაუკვირდათ, როცა გაიგეს ელექტროტაბლოზე ავტობუსის მოძრაობა არ ფიქსირდებოდა. დიდი მადლობა გადამიხადეს დროული შეტყობინებისთვის (ამის შემოწმება ადვილად შეიძლება, რადგანაც „ცხელი ხაზის“ ავტომატი საზეიმოდ მაფრთხილებდა, რომ ჩემი და მერიის თანამშრომელთა საუბარი იწერებოდა), მაგრამ როგორც ჩანს, საკუთარი დაპირება მაშინვე ავიწყდებოდათ. ყოველ შემთხვევაში, დღემდე ჩემს ზარს არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია, თუმცა „ცხელ ხაზზე“ დარეკვის შემდეგ თვეზე მეტი გავიდა!

ვალიმ ანასტასიადი,
გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი

როგორ მოვუაროთ თხილს?

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის, სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის სპეციალისტების და თხილის მწარმოებელთა ასოციაციის ორგანიზებით გურიის რეგიონში მეთხილე ფერმერებისათვის სწავლება გაიმართა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამართულ შეხვედრაზე სპეციალისტებმა ფერმერებს მიაწოდეს ინფორმაცია თხილში გასატარებელი აგროტექნიკური ღონისძიებებისა და აღნიშნულ კულტურაში გავრცელებული მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებზე. აღინიშნა, რომ ფერმერებისთვის თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება უმნიშვნელოვანესია თხილის მავნებლებისგან დაცვის და შემდგომში ხარისხიანი მოსავლის მიღებისთვის. ღონისძიებები გულისხმობს როგორც მავნებლებისა და სოკოვანი დაავადებების საწინააღმდეგო წამლობებს, ასევე სხვა აგროტექნიკურ სამუშაოებს. შეხვედრები მეთხილე ფერმერებთან ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს „საქართველოს თხილის გაუმჯობესების პროექტის“ ფარგლებში მიმდინარეობს.

სადისტრიბუციო მანქანების მოძრაობის განრიგი უნდა დარეგულირდეს

თბილისის მერის მოადგილის მაია ბითაძის განცხადებით, სადისტრიბუციო მანქანების მოძრაობის დროის დარეგულირების საკითხთან დაკავშირებით მუშაობა არ შეჩერებულა. როგორც მაია ბითაძემ განმარტა, საქართველოს პარლამენტმა ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უკვე მიიღო, კანონი ძალაშია და ამ ეტაპზე საკრებულოს მიერ მხოლოდ შესაბამისი აქტის გამოცემაა დარჩენილი.

„სატრანსპორტო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა სადისტრიბუციო მანქანების მოძრაობის დროის დარეგულირების საკითხი. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტმა უკვე მიიღო საკანონმდებლო აქტი, რომელიც ძალაშია. ჩვენ ვგეგმავთ, უახლოეს მომავალში, საკრებულოსთან და ამ სფეროში მომუშავე ასოციაციებთან და კომპანიებთან ერთად, კიდევ ერთხელ გავიაროთ ის პროექტი, რომელიც საკრებულოს მიერ უნდა დამტკიცდეს და რომელიც ზუსტ დროს განსაზღვრავს. ვფიქრობთ, რომ მომდევნო თვეების განმავლობაში გვეცოდინება ზუსტი თარიღი, თუ როდის შევა ძალაში ის ვალდებულება, რაც საქართველოს პარლამენტს უკვე აქვს განსაზღვრული, კერძოდ, სადისტრიბუციო მანქანებისთვის პიკის საათებში მოძრაობის აკრძალვა“, – აღნიშნა მაია ბითაძემ. მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს თბილისის მერის კახა კალაძის ინიციატივის განხილვა, რომელიც დისტრიბუციის მანქანების ღამის საათებში გადადგილებას ეხება, დროებით შეჩერდა.

საცხოვრებელი სახლი ჩამოინგრა

სოლოლაკში, ჩაიკოვსკის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლის ნაწილი ჩამოინგრა.

მთაწმინდის გამგეობამ მოსახლეობის ნაწილი ქირით გაასახლა, დარჩენილ ნაწილთან კი ჯერ ისევ მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ამ დრომდე ავარიულ შენობაში 17 ოჯახი იმყოფება. გამგებლის მოადგილის განმარტებით, ამჟამად სპეციალისტებთან ერთად უსაფრთხოების ზომების დაცვაზე მუშაობენ. სახლს კულტურული ძეგლის სტატუსი აქვს და გამაგრებას არ ექვემდებარება.

გურამ სალარაძე:

სანამ სამართლიანობა არ აღდგება, ქვეყანას არაფერი ეშველება!

რას არ გაიგებ, რას არ მოისმენ კაცი, განსაკუთრებით — არჩევნების წინ და, ამ მხრივ, ამჟამინდელი საპრეზიდენტო ციებ-ცხელებაც არ არის გამონაკლისი: უმისამართო ლანძღვა-გინება, ერთმანეთის ლაფში ამოსვრა ჩვეულებრივ ამბად იქცა. არც პასუხის მომთხოვნია ვინმე და არც პასუხისმგებელი. ეს იმიტომ, რომ კარგა ხანია, საქართველო კლანურ-მაფიოზურ ქვეყნად აქციეს და ახლა ამ წუმპიდან ხელის ერთი დაკვრით ამოსვლა გვიჭირს. უამრავი პოლიტიკური პარტიის უკან დგას უდიდესი ამბიცია, საკუთარ შესაძლებლობებზე მაღალი წარმოდგენა და, რაც ყველაზე მეტად საგანგაშო და შემაშფოთებელია, ინტრიგები, უსაფუძვლო პრეტენზიები ერთმანეთის ზიზღისა და სიძულვილის საფუძველს ქმნის.

საქართველოს დედამიწაზე განსაკუთრებული მისია აკისრია. ჩვენს სამშობლოს უძველესი დროიდან ჰქონდა უფლისგან მონიჭებული დიდი მისია — ევროპასა და აზიას შორის ყოფილიყო დერეფანი, დიდი აბრეშუმის გზა. ამიტომ არ შეიძლება, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას ასე უდიერად, ვანდალურად, გონიერი ცივილიზაციისთვის მიუღებელი მეთოდებით მოეპყრა, ეროვნული ფასეულობები გაანადგურო, მამა-პაპათა წეს-ჩვეულებები გათელო. ახლა შუღლისა და ერთმანეთის მტრობის დრო არ არის, ისედაც უამრავი ხილული თუ ფარული დუშმანი გვახვევია გარს და ეშმაკს სულს ნუ მივყიდით — ჩვენს ქვეყანას უცხოტომელთა საჯიჯგნად ნუ გავხდით.

დრო, ვამხილოთ შავი შავობით,
ფარისეველი, ცრუ და მზაკვარი,
ხმა ავიმაღლოთ, დავგმოთ ბოროტი,
არ აგვირიოს უფლის გზა-კვალი.
დაე, აღსრულდეს, რაც ღმერთს ენება...
მტერი მოყვარედ ნუ გვეჩვენება.

ქვეყანა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, სიდუხჭირისგან წელში ვერ გავმართულვართ, წინ ვერ მივდივართ. დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ხალხის ნება უფრო ნათლად უნდა წარმოჩინდეს, საკუთარზე მეტად ერის კეთილდღეობაზე უნდა ვიზრუნოთ.

ჯერ კიდევ უძველეს დროში ქართველი კაცი ამბობდა — მე ბატონიც მყავს და პატრონიცო. ახლა უფრო ბატონები მოგვიმრავლდნენ, „სხვების ჭირი — ღობეს ჩხირით“ ცხოვრობენ. მარტო ერთი კაცი ვერაფერს გახდება, თუ მას გვერდით არ დავუდექით. ამაზე უარესი დღეებიც გადაგვიტანია, გაჭირვებაც გვინახავს და დალხინებაც, ერთმანეთის გატანაც ვიცოდით და თანადგომაც.

სად დაიკარგა ყოველივე ეს?

ამომრჩევლებთან შეხვედრისას პრეზიდენტობის კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა ბრძანა — **„საქართველოსთვის იწყება ახალი დიდგორი. ჩვენ ამ ბრძოლის წინაშე ვდგავართ. ბევრი რამ გაკეთდა წინა წლებში. დღეს საქართველო სტაბილური ქვეყანაა, მაგრამ ბევრი რამაა გასაკეთებელი, რომ კავკასიაში, ევროპაში, მსოფლიოში ჩვენმა ქვეყანამ თავისი ადგილი დაიბრუნოს“**.

ჭეშმარიტად!

საამისოდ კი დევიზად უნდა გავიხადოთ: „ერთი — ყველასათვის და ყველა — ერთისათვის“. გათითოკაცებული საქართველო ამას ვერ შეძლებს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყველაზე ცუდად ნანგრევებში ჩვენი ქვეყანა მოჰყვა, რადგან მედროვეებმა ფეხქვეშ გათელეს ქვეყნის და ერის ღირსება. ფულზე სულგაყიდულთათვის სამშობლო არ არსებობს. ფუფუნებაა მათი აწმყოცა და მომავალიც. ამგვარ არსებათა თარეშს ბოლო უნდა მოეღოს. ერთ მუშტად უნდა შეიკრას ერი და ბოროტებას აღუდგეს.

დიდმა ილიამ ბრძანა — ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო. ჩვენ კი, სამწუხაროდ, თავჩაქინდრული დავდივართ, ირგვლივ რაც ხდება, ვერაფერს ვამჩნევთ, თითქოს არც გვეხებოდეს.

ღვთისმშობლის წილხვედრი მიწა გადამთიელებზე იყიდება, მათთვის შენდება მრავალსართულიანი კომფორტული ბინები. ამ დროს სოფლები და ქალაქები ქართველებისგან იცლება. ლუკმაპურისთვის უცხოეთში გახიზნულთა სახლ-კარს კი ინდოელები, ჩინელები, სპარსები, არაბები და თურქები ეპატრონებიან. ქართველ კაცს უთქვამს, სტუმარი ღვთისააო, მაგრამ ესენი სტუმრები არ არიან — საქართველოს მუშტრის თვალით უყურებენ. თბილისში რეზიდენციებიც კი გახსნეს და მათს თავხედობას საზღვარი არ აქვს. ჩვენ კი ხმას არ ვიღებთ, რომ გრანტიჭამიებმა ქსენოფობობა და რასისტობა არ დაგვწამონ. ისევ ქალბატონ სალომეს დავესესხები: „უცხოელებმა ჩილიმების ქუჩად არ უნდა გადააქციონ შარდენი და აღმაშენებელი“.

გვიფიქრია კი იმაზე, თუ რას ვუტოვებთ ქვეყნის მომავალს?

> **ფარული უცხოელი მტრების ქართველი დამქაშები ქვეყნის გაუბედურებით საკუთარი კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე ოცნებობენ. სხვაგვარად როგორ აღვიქვათ მარიხუანას ლეგალიზაცია? ნუთუ სხვა საზრუნავი არ გაგვაჩნია?! ჩვენში ღრმად ფესვგამდგარ უბედურებებზე კიდევ ერთი ბოროტების დამატებით ჯიბეების გასქელებაზე ვფიქრობთ! დაუსჯელობით გათამამებული ზოგიერთი ვაიქართველი მარიხუანას ფესტივალის გამართვისა და ამ ნარკოტიკის დღის დაარსებისთვის არაფერს იშურებს. უცხოეთიდან მათ ის ხალხი აფინანსებს, ვისაც საქართველოს დაჩიავება და აღგვა უნდა პირისაგან მიწისა. რაოდენ სამწუხაროა, რომ ერის დეგრადაციასა და თვითგანადგურებას ახალგაზრდების ერთი ნაწილი ზარ-ზეიმით ხვდება.**

არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ: არამად ნაშოვი არავის არასდროს შერჩენია. არც ხალხისა და ეკლესიის ნების საწინააღმდეგო მოქმედება დარჩება უფლისგან დაუსჯელი. 30 ვერცხლად სულგაყიდულთა ბოლო ამთავითვე ცნობილია. როგორც მამა გიორგი ბასილაძე ბრძანებს, „ათასობით წელია, რაც გვებრძვიან, გვსპობენ და გვადუმებენ, მაგრამ ჩვენ დამარცხება არ გვიწერია! ღმერთთან ომი არავის მოუგია“.

ჩვენი სულიერი მამა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ბრძანებს: „ქართველებს ბევრი რამ აქვთ ისეთი, რაც გარესამყაროსთვის მისაღებია — ეს არის ჩვენი ფასეულობები და მათ უნდა გავუფრთხილდეთ... რაც ეწინააღმდეგება ღვთის კანონს, მართლმადიდებლობას, ქართველი ხალხი არ მიიღებს. შემთხვევით არ არის ნათქვამი იოანე ზოსიმეს მიერ — **„ამით ენით, ქართულითა ენითა განიკითხება მსოფლიო“**. ეს არის ნიშანი იმისა, რომ ქართველი ხალხი შეინარჩუნებს ჭეშმარიტ სარწმუნოებას. ინებოს ღმერთმა, დღეს მიმდინარე გლობალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ პროცესებში ჩვენი თვითმყოფადი სახე შევინარჩუნოთ“!

ზემოთ აღვნიშნე და კიდევ ერთხელ ვიტყვი — მარტო კაცი ჭამაშიაც ცოდვააო. ბიძინა ივანიშვილი ქველმოქმედი პიროვნებაა, უყვარს საქართველო და, ბოროტმა ადამიანებმა რაც უნდა თქვან, ეს საქმით არაერთხელ დაუმტკიცებია. მან კარგად უწყის უფლის სიტყვები - „გაცემა მეტი ნეტარებაა, ვიდრე მიღება“. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო 2012 წლის ოქტომბერი რად ღირს, როცა ბატონმა ბიძინამ ხალხთან ერთად ქვეყანა ურჩხულისგან იხსნა. თუმცა, ერთიც უნდა შევნიშნო — კოჰაბიტაცია ქვეყნისა და ქართველი ხალხის დაუძინებელ მტერთან ყოვლად გაუმართლებელი იყო. დღევანდელი სინამდვილე ამის დასტურია. ის ადამიანები, რომლებიც ხალხსა და ეკლესიას ებრძოდნენ, დღეს ყელყელაობენ და ჭკუას გვასწავლიან. მათი ბრალია, უცხოელი ფარისევლები ათასნაირი დოქტრინითა თუ სხვა ხრიკებით რომ გვმტრობენ. ამერიკაში თვით ტრამპიც კი ებრძვის სოროსს, ჩვენ კი ეს „გველეშაპი“ და მისი მომხრე ქართველები გულში ჩავიხუტეთ.

არავითარი კოჰაბიტაცია!!!

სანამ სამართლიანობა არ აღდგება, ქვეყანას არაფერი ეშველება.

ბევრი გახმაურებული თუ გაუხმაურებელი საქმე ჯერ კიდევ არაა გამოძიებული. აუცილებლად უნდა მოხდეს ნაციონალური სექტის დენაციფიკაცია. მოგეხსენებათ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყოფილ ფაშისტურ ქვეყნებში გატარდა ღონისძიება ნაციზმის აღმოსაფხვრელად. ჩვენთანაც ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას; მოხდეს ყოველივეს ლუსტრაცია. საბოლოოდ უნდა გაირკვეს, ვინ ვინ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევძლებთ სამართლებრივი, დემოკრატიული, თავისუფალი და ზნეობრივი სახელმწიფოს აშენებას. ამიტომაც **მხარს ვუჭერ პატრიოტთა ალიანსის რეზოლუციას, რომელიც სააკაშვილ-ბოკერიას მმართველობის სამართლებრივ-პოლიტიკურ შეფასებასა და ამ მმართველობის დანაშაულებრივ რეჟიმად გამოცხადებას ითვალისწინებს. დღეს ამ რეზოლუციას ბევრი ცნობილი ადამიანი ეხმაურება და ხალხის ნება აღსასრულებელია — ნაციონალებმა ყველა დანაშაულზე პასუხი უნდა აგონ.**

> საბედნიეროდ, ბოლო დროს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ კაბადონზე გამოჩნდა ახალი ვარსკვლავი — ახალგაზრდა პრემიერი, პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე ოჯახში აღზრდილი, განათლებული და თავმდაბალი ადამიანი — გატონი მამუკა ბახტაძე. დარწმუნებული ვარ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების აღმოსაფხვრელად იგი ძალღონეს არ დაიშურებს.
>
> „იბერიის ღვთაებაში ეშმაკი ვერ დაისადგურებს, იბერია გადაურჩება მოწამეობას, რადგან ღვთისმშობელი დაიცავს ამ ქვეყანას“, — წერს წმინდა ლავრენტი ჩერნიგოველი. მწამს და მჯერა, რომ მრავალჭირნახული საქართველო გაუძლებს დღევანდელ სიდუხჭირეს და ფენიქსივით აღდგება. მამა გაბრიელიც ხომ გვმოძღვრავს: „საქართველო აღდგება ისე, როგორც ლაზარე აღდგა“.

რამდენიმე დღეში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. ბოლო წლებში საქართველომ დაამტკიცა, რომ შეუძლია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება, რთული გარემოებების პირობებშიც კი. ეს არჩევნები უწინდელებზე უკეთესი იქნება. ხმამაღლა ვაცხადებ, რომ სალომე ზურაბიშვილს ვუჭერ მხარს, რადგან ვიცი მისი წარმომავლობა. იგი თავისი წინაპრების საოცარი მემკვიდრეა. წარმოუდგენელია, ასეთ ადამიანს საქართველო და ქართველი ერი არ უყვარდეს. შეუძლებელია, მან ისეთი ნაბიჯები გადადგას, რითაც მტრის წისქვილზე მიუშვებს წყალს. იგი პოლიტიკურ კონსოლიდაციასაც შეუწყობს ხელს. დარწმუნებული ვარ, ქალბატონი სალომე საქართველოს ღირსეული პრეზიდენტი იქნება.

მე მჯერა საქართველოს მომავლის. მწამს იმ წინასწარმეტყველებისაც, რომ „საქართველოს მეფე ეყოლება... და ეყოლება თვით ქრისტე ღმერთის განსაზღვრულ ჟამს“. „მეფე იქნება სვეტი მართლმადიდებლობის, ძლიერი მმართველი მეფე - დიდი დავითის სულით“!

გურამ სალარაძე,
მსოფლიოს ორგბის ჩემპიონი

მხარი – დღევანდელს თუ საძულველ გუშინდელს?!.

საპრეზიდენტო მარათონმა და მასზე მიბმულმა ტყუილ-მართალმა – ყურებს რომ უჭედს საზოგადოებას, ისეთ მწვერვალებს მიაღწია, საიდანაც რბილად დაშვება უდავოდ შეუძლებელია. „ნაციონალები“ – თავბრუდამხვევ შეტევაზე გადასულნი, წამსაც არ ტოვებენ ხელისუფალთა სალანძღავად. ვალში არც „ოცნება“ რჩება, თუმცა „ნაცებამდე“ ბევრი აკლიათ.

„ნაცთა“ შეუპოვრობა, ორგანიზებულობა, თავხედობა და ყველა სხვა ნეგატიური თვისება, რითიც უხვადაა დაჯილდოებული ეს ორგანიზაცია და მისი მხარდამჭერები, სერიოზული ძალაა და მასზე ზედაპირულად, ხელისწამოკვრით ლაპარაკი ბევრის არაფრის მომტანია, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც „ნაცებმა“ შესანიშნავად აითვისეს ლანძღვა-გინების ატანის ტექნოლოგია და შეტევაზეც ისე გადადიან, თითქოს ცამდე მართლები იყვნენ ცხრაწლიან სასტიკ მმართველობაში.

საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაუხედავი ადამიანისთვის „ნაციონალური მოძრაობის“ და მისგან შობილი მონათესავე პარტიების წარმომადგენელთა განცხადებები გარკვეული პოზიტიური შთაბეჭდილების შემქმნელია, ვინაიდან უცხოსთვის „ნაცთა“ უტიფრობა და თანაც ასეთი, უბრალოდ წარმოუდგენელია.

„ნაცებმა“ დაივიწყეს „ცოცხებიდან“ დაწყებული ყველა საზარელი ქმედება – უხვად რომ ჰქონდათ ჩადენილი მათი მმართველობის პერიოდში და ისეთი შემართებით გვიტევენ, როგორც მამა აბრაამის ბატკნები. „ოცნება“ თავს იცავს იშვიათი კონტრშეტევით და ისეთ შეცდომებს უშვებს, უარესს „ნაციონალებიც“ რომ ვერ ინატრებდნენ.

ისე, როგორც წინათ, მთავარი სავაჭრო თემა, უფრო სწორად, დამადანაშაულებელი ფარული აუდიოჩანაწერებია, სადაც მტყუან-მართლის გარჩევა არცთუ იოლია, მაგრამ საზოგადოება, რომელიც „ოცნების“ მმართველობის უშუალო ობიექტია, ოპოზიციის გულშემატკივარია, უფრო სწორად ოპოზიციის გულშემატკივარი და აშკარა მხარდამჭერი იქნებოდა, „ნაცების“ ნაცვლად სხვები რომ ყოფილიყვნენ.

არსებულ რეალობაში საზოგადოება ვერ გარკვეულა – დღევანდელს დაუჭიროს მხარი თუ საძულველ გუშინდელს. აი, ამ განცდაშია ამომრჩეველი, რაც ქვეყნის აწმყოსა და მომავლისთვის არცთუ სახარბიელოა.

ხშირად გვესმის, რომ კოჰაბიტაციის შემოღებით „ოცნებამ“ ისეთი ფანდი გვაგემა, სულ მუდამ რომ მის სასარგებლოდ ჩავყრით საარჩევნო ყუთებში ბიულეტენებს. ხშირად ვიხსენებთ „ოცნების“ შემქმნელის ბიძინა ივანიშვილის სიტყვებს – ორი ძლიერი პარტია უნდა იყოს, დანარჩენი უნდა გაიკრიფოსო.

პარტიები, ცხადია 2-ზე მეტია და 200-სს აჭარბებს, მაგრამ ქაღალდზე. სინამდვილეში სიცოცხლისუნარიანი მართლაც ორია – სამთავრობო „ოცნება“ და ოპოზიცია – „ნაცები“. ხშირად ისიც გვესმის – ახია „ოცნებაზე“, ნაცვლად იმისა, რომ „ნაცები“ დაესაჯა – კოჰაბიტაციას მიჰყო ხელიო. ცხადია ამაში დასავლეთსაც მიუძღვის წვლილი, მათი „საყვარელი“ „ნაცების“ სასარგებლოდ, მაგრამ კოჰაბიტაციით შექმნილმა გარემომ რომ „ოცნების“ წისქვილზე მიუშვა წყალი, სრული ჭეშმარიტებაა.

მარტივი კითხვა იბადება – ვის უნდა დაუჭიროს მხარი ამომრჩეველმა – საზარელ „ნაცებს“ თუ ბევრის შემპირებელ „ოცნებას“, რომელმაც ყველა დაპირება ქარს გაატანა და ისე გველაპარაკება, თითქოს რაღაც მაინც გაეკეთებინოს უამრავი დაპირებიდან.

ხალხი ისე დაიღალა გაუსაძლისი ყოფით, რომ აღარაფრად აგდებს დოლართან მიმართებაში ლარის 2,70-მდე გაუფასურებას. ლარის კურსის ყოველდღიურმა ვარდნამ, რასაც ყოველდღიური ფასების მატება მოსდევს საწვავზე, კვების პროდუქტებზე, მედიკამენტებზე, პირველადი მოთხოვნილების საქონელზე, ტრანსპორტზე და ა.შ. ლამის სასუნთქი არტერია გადაგვიკეტოს.

„არსაიდან ხმა, არსით ძახილი“. ხელისუფლება წინასაარჩევნო და აუდიოჩანაწერების ომშია ჩართული – ლამის „გმირად“ ქცეული სუბელიანის ყოველწამიერი ხსენებით, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩვენი დროის ისეთ „გმირებზე“, როგორებიცაა ყიფიანი, ოქუაშვილი, ჩხარტიშვილი, მამაცაშვილი, ...სიას ბოლო არ უჩანს. ხელისუფლებას ქვეყნის მართვისთვის დრო არ რჩება, მით უმეტეს, ეკონომიკურ-საფინანსო ვითარების მოსაწესრიგებლად. შედეგი სავალალო. მთავრობა, ოპოზიცია თავისთვის, ხალხი – თავისთვის. არადა, არც მესამე ძალა ჩანს, სხვაგან რომ უმალ იჩენდა თავს.

სხვაგან – ვგულისხმობ დემოკრატიულ საზოგადოებაში, თუმცა ასეთში ისეთ რეალობას არ ექნებოდა ადგილი, რასაც აქ აქვს. იქ საზოგადოება უმალ ორივეზე იტყოდა უარს. აქ კი მსგავსი შეუძლებელია, ვინაიდან, ტორტთან, რომელსაც ხელისუფლება-ოპოზიცია მადიანად შეექცევა, სხვას არ გაიკარებს.

საკუთარ თავში დარწმუნებული ხელისუფლება შეცდომას შეცდომაზე უშვებს, რომელსაც ოპონენტი უმალ ააშკარავებს, მაგრამ მისი არვის სჯერა – ცამდე მართალიც რომ იყოს – წარსულში ჩადენილ ბოროტებათა გამო.

„გვეშველება რამე?“ – ამ შეკითხვას ხშირად მოჰკრავთ ყურს ქუჩაში სიარულის ან საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის დროს. პასუხიც ისეთია, შეკითხვას რომ შეესაბამება – არაფერი!

როდესაც თვალს ვავლებთ დამოუკიდებლად ცხოვრების განვლილ წლებს, ობიექტური შეფასების შემთხვევაში ნათლად ვხედავთ, რომ ერთ ადგილს ვტკეპნით, წინ ვერ ვიწევთ. პრობლემებისთვის (მცირე ნიუანსების გამოკლებით) ვერ მოვიცალეთ. ხელისუფლება, მედია – ერთად შეკრული, ისე „ზრუნავს“ ჩვენზე, ცივ ნიავსაც არ გვაკარებს. ამდენად არაფერი ვიცით – რა ხდება ჩვენს მეზობელ ქვეყნებში, ყოფილ საბჭოელებში.

ჩვენ ხომ დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყების სასტარტო მდგომარეობა თანაბარი გვქონდა? უფრო მეტიც, მათზე გაცილებით უკეთეს პირობებში ვიყავით, როდესაც დამოუკიდებლობა გვიბოძეს.

აღარაფერს ვამბობ სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებზე, დღეს რომ ევროკავშირში არიან მოკალათებული. ჩვენ არც არაფერი ვიცით, რა ხდება ევროკავშირსა და ნატოში, რა პირობებში არიან იქ გაწევრებული ქვეყნები, რა აწუხებთ მათ და აწუხებთ თუ არა რამე?

ჩვენ გვგონია, რომ რახან ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი, ევროკავშირის კარი გავიხსენით. ჩვენ არავინ გვითხრა, რომ ეს ხელშეკრულება არ ნიშნავს ევროკავშირში ოდესმე შესვლას. პირიქით, ჩვენ მუდამ ვისმენთ ხელისუფალთაგან, რომ ევროკავშირი და ნატო მოუთმენლად გველის. და როდესაც ამას ისმენ – მუდმივად და დაბეჯითებით აშშ-ის პრეზიდენტის ობამას ნათქვამი – „საქართველოს ადგილი ნატოში არ არის“ – მხოლოდ მისი სუბიექტური მოსაზრების ნაყოფი გვგონია.

რაღა შორს წავიდეთ. სულ ახლახან აქ ჩამოსულმა ევროკავშირელმა ემისარმა პირდაპირ გვახალა – საქართველო ევროკავშირში ვერ შევაო. მას სიტყვა „ჯერჯერობით“ არ გამოუყენებია.

ნათქვამი იმდენად შემაღონებელი იყო, რომ ერთხელ ითქვა და მასზე კომენტარი არვის გაუკეთებია. ხელისუფლებას, მით უმეტეს – ცივი ნიავის არმოკარებიდან გამომდინარე. ზემოთ ნახსენებს გავიმეორებ, ხელისუფლება „ზრუნავს“, რომ ცივი ნიავი, ანუ ამბავი არ მოგვაკაროს.

მედია თავს იკავებს იმ მოვლენების ჩვენთვის გაცნობისგან, რასაც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში აქვს ადგილი. არვინ გვუბნება – როგორ ცხოვრობენ შუა აზიის ქვეყნები, ბელორუსი, სომხეთი და აზერბაიჯანი, თუნდაც ჩვენი „დაუძინებელი“ მტერი რუსეთი.

ამ უკანასკნელზე ისეთ წარმოდგენას გვიქმნიან, თითქოს იქ, გასული საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიები იყოს. არადა, ვინც ერთხელ მაინც თვალს შეავლებს ტელეკომპანიების „დოჟდის“, RTVI, „ეხო მოსკვის“, სხვათა მუშაობას, დარწმუნდება, რომ იქ ისეთი სიტყვის თავისუფლებაა, დემოკრატიის „აკვანი“ – კოლექტიური დასავლეთიც რომ ვერ ეღირსება.

როდესაც ევროკავშირი მთლიანად და მასში შემავალი 28 ქვეყანა ცალ-ცალკე ვერაფერს აკეთებს ვაშინგტონის შიშით და თვალი სულ იმისკენ გაურბის, რომელ დემოკრატიასა და სუვერენიტეტზე ვლაპარაკობთ?!

როდესაც ბულგარეთი, რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას „სამხრეთ ნაკადის“ (გაზის) თავის ტერიტორიაზე გავლასთან დაკავშირებით, სოფიაში ჩასული სენატორის მაკკეინის შიშით აუქმებს, რითაც იუარესებს საკუთარ ენერგეტიკულ მდგომარეობას და უარს ამბობს სატრანზიტო მილიონობით შემოსავალზე, სუვერენიტეტი და დემოკრატიაა?!

სენატორი მაკკეინი აღარ არის, მაგრამ არის რუსული გაზის გარეშე დარჩენილი ბულგარეთი, რომელიც ყელგამოწვდილი ეხვეწება რუსეთს ხელშეკრულების აღდგენაზე. რაღა დროსაა. მატარებელმა ჩაიარა.

როდესაც სკრიპალების ყბადაღებული „მოწამვლის“ საქმეს რუსეთს აბრალებენ ძმადნაფიცი ინგლის-ამერიკა და ყველა ქვეყანას აიძულებენ ისე დაადანაშაულონ რუსეთი, როგორც თვით, რა დემოკრატიაა?!

როდესაც ვიღაც აქაური მეტიჩარა ე.წ. ექსპერტი ან პოლიტიკოსი რუსეთს სკრიპალების მოწამვლაში და სირია-უკრაინაში განხორციელებულ აგრესიაში ადანაშაულებს, განა დაუფიქრებლად დასავლური მედიის მიერ შეთხზული სიცრუის გამეორება არაა?!

ასეთებს ყოველთვის მოეჩვენებათ, რომ 2008 წელს ომი რუსეთმა დაგვიწყო. არა საკაშვილმა, არამედ პუტინმა.

სულ ახლახან, სოჭში გამართულ „ვალდაის“ საერთაშორისო კლუბის მორიგ შეხვედრაზე რუსეთის პრეზიდენტმა თავისი სათქმელი თქვა.

„ვალდაის“ ფორუმი მერამდენე წელია, მიმდინარეობს და მასში მონაწილეობას ღებულობენ მსოფლიოს ქვეყნების მოქმედი და ყოფილი ხელმძღვანელები, პოლიტიკოსები, ექსპერტები, მეცნიერები. წლევანდელ შეხვედრას, რომელიც 4 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, 30 ქვეყნის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ცნობილი პოლიტოლოგის თეოდორ ლუკიანოვის მიერ დასმულ კითხვას რუსეთის პრეზიდენტმა ისეთი პასუხები გასცა, რაც ჩვენთვისაც საყურადღებო უნდა იყოს. მან საკაშვილიც ახსენა, როდესაც უკრაინაზე ილაპარაკა. „უკრაინა დღეს ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკას ატარებს, რაც მიხეილ საკაშვილმა გააკეთა სამხრეთ ოსეთზე თავდასხმით, რის შედეგად საქართველომ ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა“.

პუტინის ნათქვამში „დაკარგა“ – რაღაც ისეთი მენიშნა, იმედს რომ საბოლოოდ არ წურავს. იქნებ ვცდები, იქნებ სხვაგვარად მომესმა? მაგრამ სხვასაც რომ ისე მოესმა, როგორც მე. იქნებ, დაგვედგინა – ჩვენ რომ მოგვესმა, დამაიმედებელია თუ პირიქით?

იქნებ, ნაცვლად ძველი ხერხისა – ლანძღვა-გინება რომ ჰქვია, ახალი, ანუ ისიც ძველი, გამოგვეყენებინა – მოლაპარაკება რომ ჰქვია?

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა ნაწყვეტი პრეზიდენტობის კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის წიგნიდან, სადაც ამოვიკითხე: „საჭიროა სტრუქტურების მოდიფიცირება, მათი ადაპტაცია ჩვენს დადგენილ პრიორიტეტებთან, ესენია ნატო და აშშ, ევროპა, რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია“.

მართალია, ყოველივე აღნიშნული წარსულს ეხება, მაგრამ ეს წარსული დღესაც აქტუალურია, განსაკუთრებით რუსეთთან მიმართებაში, ვინაიდან მასთან ნორმალური ურთიერთობის გარეშე აქ არვინ ჩადებს ინვესტიციას.

რუსეთთან ცუდი ურთიერთობა თავისთავად იწვევს ყოყმანს ინვესტორთა მხრიდან. ფულს სიმშვიდე უყვარს და არა ისეთი წივილ-კივილი, ჩვენ რომ გვაქვს ატეხილი რუსეთის მიმართ.



ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

თბილისში დემოკრატიის ცენტრი შეიქმნება

ცენტრის ხელმძღვანელი სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ფრენსის ფუკუიამა იქნება. ცენტრი რეგიონში არსებულ ავტოკრატიულ და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე იმუშავებს.

„საქართველოში იქმნება ფრონტისპირა დემოკრატიის ცენტრი, რაც მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ თავისუფლებად შეძლონ რეგიონში მყოფმა თავისუფლებისთვის მებრძოლმა სამოქალაქო საზოგადოების თუ სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ერთად იმოქმედონ თავისუფლების დასაცავად“, – ამბობს ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი ნინო ევგენიძე. ამავე თემაზე წიგნის პრეზენტაცია გაიმართა სახელწოდებით – „იდენტობა“. წიგნის ავტორი ფრენსის ფუკუიამაა. „ეს არის წიგნი მსოფლიოში პოპულიზმის აღზევების შესახებ, რაც ჩემი აზრით საშიშროებას წარმოადგენს მსოფლიოში დემოკრატიული წესრიგისათვის. ჩემს ნაშრომში გლობალური პოლიტიკის ძირითად განმსაზღვრელი პრინციპების შესახებაც არის საუბარი. მოხარული ვარ რომ წიგნი საქართველოშიც გამოიცა“, – ამბობს სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, დემოკრატიის განვითარებისა და კანონის უზენაესობის ცენტრის დირექტორი ფრენსის ფუკუიამა.

ღვინო უყურძნოდ – აფხაზეთიდან

ამერიკულ-ჩეხური ტელეკომპანიის „ND Yfcnjzott dhtvz"-ს მიერ გადაცემულ ვრცელ ვიდეოსიუჟეტში გადმოცემულია აფხაზეთის ეკონომიკური მდგომარეობა.

მასში აღნიშნულია, რომ აფხაზეთის ბიუჯეტი თითქმის მთლიანად რუსეთის დოტაციაზეა – დაახლოებით 300 მლნ. დოლარი წელიწადში, „თუმცა ოფიციალურად ეს ციფრები არასოდეს გამჟღავნებულა.

მიუხედავად მოსკოვისაგან მიღებული მილიარდებისა, 25 წლის განმავლობაში აფხაზეთში თითქმის არც ერთი მსხვილი ქარხანა ან ფაბრიკა არ აშენებულა. ზოგიერთი მცირე საწარმო მხოლოდ აგრარულ სფეროს ემსახურება და მისი პროდუქციაც მხოლოდ რუსეთში საღდება.

ერთ-ერთი ასეთი საწარმოა სოხუმის ღვინის ქარხანა, რომელშიც ყოველწლიურად 24 მილიონი ბოთლი ღვინო ისხმება („ლიხნი", „აფსნი", „ფსოუ"). ქარხანაში არ მალავენ, რომ ამდენი ღვინისთვის საკმარისი ყურძენი აფხაზეთში არ იკრიფება, მაგრამ არც იმას ამბობენ, თუ საიდან აქვთ ამდენი ნედლეული - ვაითუ ჩვენს მომწოდებელ კომპანიებს პრობლემები გაუჩნდეთო. ადრე, საბჭოთა პერიოდში, ყურძენი საქართველოდან შედიოდა, მაგრამ ახლა უნებართვოდ ვაჭრობა-მომარაგება აკრძალულია და სანქციები ემუქრებათ.

სოხუმის ღვინის ქარხნის ბოთლებს რუსული აქციზის მარკები აკრავს – რუსეთის გარდა, აფხაზურ ღვინოს არსად არ იღებენ. იგივე სიტუაციაა ადგილობრივი ციტრუსების გასაღების სფეროშიც. „მთელი ჩვენი პროდუქცია მხოლოდ რუსეთში მიდის: სოჭში, მოსკოვში, პეტერბურგში, კიროვში და ასე შემდეგ", – ამბობს სასოფლო-სამეურნეო საწარმო „სოფიას" მთავარი აგრონომი გიორგი ბოიანი.

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრის ადგურ არძინბას აღიარებით, თითქმის ყველა მნიშვნელოვანი გადამხდელი კომპანიის ტოპათეული რუსეთელია და მათ რუსული ინვესტიციები შემოაქვთ, თუმცა ღიად მხოლოდ „როსნეფტი" და „რუსეთის რკინიგზა" მუშაობს, დანარჩენები ოფიციალურ დემონსტრირებას არ ჩქარობენ – ეშინიათ, რომ სანქციების ქვეშ აღმოჩნდებიან.

2010 წლიდან აფხაზეთში რუსი ტურისტები რკინიგზის მეშვეობითაც ჩადიან, თუმცა ლიანდაგები მხოლოდ სოხუმამდე აღდგა. სოხუმმა მოსკოვისაგან დიდი კრედიტი აიღო, რომელსაც რამდენიმე წელია, იხდის, მაგრამ რკინიგზის განვითარებისათვის რეგიონში დიდი სირთულეები არსებობს. 25 წლის განმავლობაში აქ ახალი რკინიგზა არ აგებულა.

აფხაზეთში რუსეთის გარდა, სხვა ქვეყნებიდან ტურისტების ნაკადი მოსალოდნელი არ არის და ამის იმედი არც არავის აქვს. ბოლო დროს პლაჟები ნელ-ნელა ცარიელდება, განსაკუთრებით სოხუმში. საბჭოთა ეპოქის სასტუმროები თანდათან ინგრევა. აფხაზეთში რუსები ხშირად მხოლოდ ორიოდე დღით ჩადიან, ისიც ახალი ათონის სანახავად, რომელიც საბჭოთა პერიოდის ნოსტალგიას აღძრავს. სიტუაციით რუსული ტუროპერატორები კარგად სარგებლობენ: „საბჭოთა საქართველოში" წასასვლელად ბილეთის ყიდვა სოჭის ყველა სადგურში შეიძლება.

რუსეთიდან თვითგამოცხადებულ აფხაზეთში წამსვლელებს ექსკურსიამძღოლები მხოლოდ რუსული შიდა პასპორტის წაღებას ურჩევენ, რადგან აფხაზური შტამპი ყველანაირ დოკუმენტს უცხოეთისთვის უმოქმედოდ აქცევს. გარდა ამისა, საქართველოს კანონით, სეპარატისტულ რეგიონებში რუსეთის მხრიდან შესვლისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაა დაწესებული. აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს თბილისი რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებად თვლის და მოსკოვს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაში ადანაშაულებს.

„currenttime.tv"(აშშ-ჩეხეთი)
Region.ge

ჰაერში ტყვიის შემცველობის შემოწმება გრძელდება

გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ატმოსფერულ ჰაერში ტყვიის შემცველობა მოქალაქეების მომართვის საფუძველზე, ასევე საბავშვო ბაღებისა და სკოლების მიმდებარე ტერიტორიებზე გამოიკვლია.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო აგრძელებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის უწყვეტ მონიტორინგს ავტომატური სადგურების საშუალებით. თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში რვა დამაბინძურებელი ნივთიერების კონცენტრაციები გაიზომა. გაზომვების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში განსაზღვრული ნივთიერებების შემცველობები ნორმის ფარგლებში დაფიქსირდა, გარდა აზოტის დიოქსიდის (NO2) და მყარი ნაწილაკების (PM10) კონცენტრაციებისა.

გარემოს ეროვნული სააგენტო ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციების შესახებ მონაცემებს ყოველდღიურად აქვეყნებს სააგენტოს ვებგვერდზე www.nea.gov.ge, ასევე ყოველკვირეულად შესაძლებელია, საზოგადოება გაეცნოს ინფორმაციას გასული კვირის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შესახებ.

◎ ისტორიის ნამცვრევები

თითქოს გუშინ იყო!...

ჩასაფრება უღელტეხილზე

საქართველოს ჩეკისტებმა ტერორის უამრავი განზრახვა „დააფიქსირეს". თურმე მტრები აპირებდნენ ვ. ბერიას, ვ. ბაქრაძის, ს. გოგლიძის და სხვათა და სხვათა მოკვლას. გაუცნობიერებელ კაცს, ერთი შეხედვით შეიძლება შთაბეჭდილება შეექმნას, საქართველოს უმაღლესი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი მგლების ხროვით იყვნენ გარშემორტყმულნი და ყოველ წუთს ზურგში ტყვიას ელოდნენო.

მაგრამ საკმარისია ყურადღებით გადაიკითხო „საქმეები", რომ მიხვდე, რა თეთრი ძაფით არის ნაკერი ყოველი მათგანი, რა ტრაფარეტულად ყალბია ისინი – მკვლელობის განზრახვები. ეს თვით „პოტენციურ მსხვერპლებს" სჭირდებოდათ, რომ „სამიზნეები" ყოფილიყვნენ, წამებულად წარმოეჩინათ თავი ხალხისთვის. ასე იყო ცენტრში, ასე იყო საქართველოშიც. იერარქიული კიბის რაც უფრო მაღალ საფეხურზე იდგა კაცი, მით უფრო მეტი „მკვლელი" უნდა ჰყოლოდა. ეს ღირსების საქმე იყო და ჩეკაც ერთგულად აღასრულებდა პოლიტიკურ შეკვეთას.

მაგრამ 1930 წელს ბერია ნამდვილად სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს.

შეთქმულება რამდენიმე თვის მანძილზე მზადდებოდა, როგორც გამოძიებამ დაადგინა, მას მენშევიკთა პარტიის გადარჩენილი წევრები(?) ხელმძღვანელობდნენ. სავარაუდოა, რომ მას არ დაუვიწყეს 1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობა.

ვლადიკავკაზიდან მომავალ ბერიას ტერორისტები საქართველოს სამხედრო გზის უღელტეხილზე ჩაუსაფრდნენ. როდესაც სამი მანქანისგან შემდგარი კორტეჟი ტერორისტთა საფარს მიუახლოვდა, ცეცხლი გაიხსნა. პირველი მანქანა ნაღმით ააფეთქეს, დაიღუპა წითელი არმიის გენერალური შტაბის ერთი ოფიცერი და სამი ჩეკისტი დანარჩენმა ორმა ავტომანქანამ, რომელთაგან ერთ-ერთში ბერია იჯდა, სვლას უმატა და ტყვიის წვიმაში სამშვიდობოს გააღწია.

იმავე 1930 წელს მოსკოვმა ბერია მეორე წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა. ამ ფაქტს იგი თურმე ხშირად იხსენებდა თავისებური კომენტარით: „ქართველები ყველაფერში ხელს მიწყობენ, ისინი დამეხმარნენ მეორე წითელი დროშის ორდენის მიღებაშიცო".

ბერიაზე თავდასხმაში ეჭვმიტანილთა დაკითხვა-დაპატიმრებამ 1924 წლის აჯანყების შემდგომ მონაცემებს თითქმის ორჯერ გადააჭარბა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ვითომდა დამნაშავე ბერიამ პირადად გაათავისუფლა.

სამხედრო გზაზე ბერიაზე თავდასხმის ამბავი ნამდვილს ჰგავს. ამ აზრს განმიმტკიცებს ერთი დოკუმენტი, რომელსაც საქართველოს სუკის არქივში წავაწყდი, მის დაწვამდე ცოტა ხნით ადრე. ეს იყო ამიერკავკასიის სფსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის სტანისლავ რედენსის (იგი ი. სტალინის ქვისლი იყო, ნადეჟდა ალილუევას ღვიძლი დის ანას მეუღლე) მიერ ხელმოწერილი, 1930 წლით დათარიღებული თავისი მოადგილის და საქართველოს სახპოლიტსამმართველოს თავმჯდომარის ლავრენტი ბერიას მეორე წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების 20-გვერდიანი წარდგინება-დახასიათება მოსკოვისთვის, სადაც ის პირდაპირ ხოტბას ასხამს ლავრენტი პავლოვიჩის გამორჩეულ ნიჭს, ჩამოთვლის მის საგმირო საქმეებს.

იმ მონაკვეთში, რომელიც ლ. ბერიას განსაკუთრებულ ჩეკისტურ უნარს ეხება, აღწერილია, თუ როგორ მიავლინეს იგი ბაქოში სპეციალურად, აზერბაიჯანში მოქმედი ერთ-ერთი არალეგალური პარტიის (თუ არ ვცდები, ჩვენებური ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მონათესავე პარტია იყო დასახელებული) დაპატიმრებული ხელმძღვანელის გამოსატეხად 1927 წელს. იმ კაცს თურმე მთელი თვე ვერაფერი ათქმევინეს, ჩასულა ლავრენტი და ორ დღეში ყველაფერი დაუფქვევინებია.

თავისი მოადგილის ამ განსაცვიფრებელ დამსახურებას რედენსი საგანგებოდ უსვამდა ხაზს. იგი არ წერს, თუ როგორ მოახერხა ახალგაზრდა ჩეკისტმა ეს, მაგრამ გასაგებია, რომ საქმის გასახსნელად დედუქციურ ჩხირკედელაობას არ დაიწყებდა...

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 211

აფეთქება ვერის აღმართზე

კომპარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტი (ფ. მახარაძე, ლ. დუმბაძე, ნაზარეთიანი) 1919 წელს ცნობილ ქართველ „მაუზერისტს" ტიტე ლორთქიფანიძეს იბარებს თბილისში და „ძალზე სერიოზულ საბრძოლო იატაკქვეშა სამუშაოს" ავალებს.

ტიტე ლორთქიფანიძე და მისი ძმები ალექსანდრე, იონა და ვლადიმერი ბოლშევიკთა ყველა საიდუმლო სისხლიან წამოწყებაში აქტიურად მონაწილეობდნენ („პროვოკატორ" მაშკევიჩისა და „შავრაზმელების" ლეონტიევიჩისა და გლუშკოვიჩის მკვლელობა 1910 წ. და სხვ.). იონა ჩამოახრჩეს, ვლადიმერი კატორღაში მოკვდა, ხოლო ტიტე 1937 წელს დახვრიტეს, როგორც ხალხის მტერი.

იმავე 1919 წლის 13 სექტემბერს თბილისის ცენტრში – ვერის (დღევანდელ ელბაქიძის) აღმართზე, ტიტე ლორთქიფანიძემ და არკადი ელბაქიძემ ბომბები ესროლეს ამიერკავკასიაში დენიკინის წარმომადგენლობის შტაბის უფროსის, გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოზ ბარათოვის (ბარათაშვილის) ავტომობილს და მძიმედ დაჭრეს თეთრი გენერალი, მისი ადიუტანტი, შოფერი კი მოკლეს.

მას შემდეგ, რაც ტ. ლორთქიფანიძე დახვრიტეს კონტრრევოლუციონერების ბრალდებით, ბარათოვზე თავდასხმის გმირული ოპერაციიდან ტიტეს სახელი გაქრა და ვერის აღმართს მხოლოდ ელბაქიძის სახელი შემორჩა.

ალეკო ასლანიშვილი

კრემლის ახალი საკვანძო სიტყვა იმპერიის წიაღში საქართველოს დასაბრუნებლად

ბოლო დღეებში მოსკოვმა თბილისისკენ ახალი პოლიტიკური გზავნილების მთელი წყება გამოუშვა. ორიოდ დღის წინ მოვისმინეთ მარია ზახაროვას განცხადებები, 18 ოქტომბერს კი ვლადიმირ პუტინისა.

არსი იგივეა, ფორმა — ოდნავ შეცვლილი. კერძოდ, ახლა კრემლის ნარატივში ჩვეულ მუქარასთან ერთად, სულ უფრო ხშირად ჟღერს სიტყვა „ერთობლივი“ და სულ უფრო მკაფიო ხდება ქართველების თვალში აშშ-ისგან მტრის ხატის შექმნის მცდელობა.

რუსეთის მიერვე „შემოგდებული“ ლუგარის ლაბორატორიის თემაზე საუბრისას ერთობლივი ნაბიჯების გადადგმის შეთავაზებამ ორივე ორატორის შემთხვევაში გაიჟღერა, ისევე, როგორც ამერიკული „საფრთხით“ დაშინების მცდელობამ.

კერძოდ, რუსეთის პრეზიდენტმა „ვალდაიში“ გამართულ ყოველწლიურ შეხვედრაზე ლუგარის ლაბორატორიის თემაზე საუბრისას განაცხადა:

„როგორ უნდა ვებრძოლოთ? — ყველას უნდა გვესმოდეს, რომ არსაიდან არაფერი მოდის და არც არსად ქრება. ქმედება ურთიერთქმედების ტოლია და პირიქით. ამიტომაც თუ ვინმე სადმე მსგავს ზომებს შეიმუშავებს, ამას სხვებიც გააკეთებენ. უმჯობესია, წინასწარ დავსხდეთ და გამოვიმუშავოთ ერთიანი წესები ამ მეტად სენსიტიურ სფეროში“.

მარია ზახაროვამ კი ორიოდ დღით ადრე, ვიდეოხიდის მსვლელობისას თქვა:

„სამწუხაროდ, ბოლო 25 წლის განმავლობაში პოსტსაბჭოთა სივრცე დიდწილად იქცა პლაცდარმად სხვადასხვა სჯულის იმ ადამიანთა ექსპერიმენტებისთვის, რომლებიც არასოდეს მიეკუთვნებოდნენ ჩვენს საერთო სივრცეს, ჩვენს საერთო სამყაროს. და ეს ადამიანები (ყველას მშვენივრად გვესმის, რომელ ლაბორატორიაზე ვსაუბრობთ და ვინ დგას მის უკან — ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურები) თავს უფლებას აძლევენ, აკეთონ ის, რასაც საკუთარ ქვეყანაში, ვფიქრობ, ძნელად თუ გააკეთებდნენ ისევე თავისუფლად, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში. და აქ არა მარტო საქართველოზეა საუბარი. ორივე მხარისთვის (საქართველოსა და რუსეთისთვის) სასარგებლო იქნება, გააერთიანონ საზოგადოებრიობის, ჟურნალისტების, მედიის პოტენციური შესაძლებლობები და დაკავდნენ ამ თემით საკუთარი თავისა და შვილების, მომავალი თაობების საკეთილდღეოდ, და არა გარეშე ძალებს აძლევდნენ ჩარევისა და დაძაბულობის ზონების შექმნის შესაძლებლობას“.

შემდგომში, ვიდეოხიდის მსვლელობისას ზახაროვა ხშირ შემთხვევაში საკუთარი ინიციატივით იჩენდა „სითბოს“ საქართველოსა და ქართველების მიმართ, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ოცნებობს საქართველოში ჩამოსვლაზე“, რომ „რუს და ქართველ ხალხებს ერთმანეთი ჰაერივით სჭირდებათ“ და რომ „სახეზეა კოლოსარული მოთხოვნილება, მათ შორის — საქართველოს მხრიდან, ორმხრივი ურთიერთობების განვითარებისთვის“.

ორიოდ წუთში კი იგივე ზახაროვამ ბრძანა, „ნატო რუსეთისთვის საფრთხეს წარმოადგენს, ამიტომაც ალიანსში საქართველოს გაწევრიანების შემთხვევაში მოსკოვი ადეკვატურ საპასუხო ზომებს მიიღებს“ და ამ „ადეკვატური საპასუხო ზომების“ არსი „სამხედრო ექსპერტებს შეუძლიათ, ახსნანო“.

კიდევ რამდენიმე წუთში იგივე ზახაროვამ ისიც მიაყოლა, რომ „არსებობს (რუსეთისა და საქართველოსთვის) პრინციპული საკითხების „ცალკე კალათი“, რომლის ირგვლივაც კონსენსუსი შეუძლებელია.

და ბოლოს — კრემლის, ამ შემთხვევაში პუტინის კიდევ ერთი მესიჯი: ვერც აშშ, ვერც ვინმე სხვა მომერევა, „ყველა პოტენციური მტერი ჩაძაღლდება“, ასე, რომ, კარგად დაფიქრდით, ვისთან სჯობს, იმეგობროთო .

ამგვარად, მოსკოვის ბოლო დღეების მთავარი გზავნილები ასე შეიძლება, დაკვალიფიცირდეს:

ჩვენ ერთმანეთს „ჰაერივით“ ვჭირდებით;

არსებობს გზა საქართველო-რუსეთის შესარიგებლად;

არსებობს ერთობლივი (თამაშის ერთიანი წესებით) მოქმედების ორმხრივი „კოლოსალური“ მოთხოვნილება;

არსებობს ერთობლივი მოქმედების სფეროები და შესაძლებლობებიც, ოღონდ თამაშის წესებს კვლავ მოსკოვი დაადგენს;

რუსეთი უძლეველია და ნებისმიერი მტერი „ჩაძაღლდება“, კარგად დაფიქრდით, სწორად გყავთ თუ არა შერჩეული სამეგობრო.

ოფიციალური თბილისის რეაქცია

19 ოქტომბერს მოსკოვის განცხადებებს ოფიციალური თბილისი გამოეხმაურა. როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ვლადიმერ კონსტანტინიდის განცხადებაშია აღნიშნული, "სიტუაციის დეესკალაციის ერთადერთი წინაპირობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის უკანონო ქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტა, ასევე ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების, მათ შორის, ევროკავშირის შუამავლობით 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულება და თავისი სამხედრო ფორმირებების საქართველოს ტერიტორიიდან სრულად გაყვანაა“.

რას ფიქრობენ ექსპერტები

იმის შეფასება, რა სურს საქართველოსთან დაკავშირებით მოსკოვს და რამდენად ადეკვატურია თბილისის პასუხი, ანალიტიკოსებს ვთხოვეთ.

ანალიტიკოსი ბიძინა ლებანიძე:

„რუსეთისგან მომდინარე მგსავსი მესიჯები, რა თქმა უნდა, არ არის ახალი. დიდი ხანია, ვიცით, რომ რუსეთი საქართველოს საკუთარი გავლენის სფეროდ მიიჩნევს, ძალიან მტკივნეულად აღიქვამს ნებისმიერ, თუნდაც უმნიშვნელო აქტივობას აშშ-ის ან ევროკავშირის მხრიდან.

აქ (ზახაროვასა და პუტინის განცხადებებში) უფრო საინტერესო ისაა, როგორ აპირებს კრემლი საქართველოს ხელისუფლებისა და მოსახლეობის დარწმუნებას მასთან მეგობრობის „კოლოსალურ“ საჭიროებაში და რაში ხედავს რუსეთ-საქართველოს შორის შერიგების გზებს.

იმ ფონზე, რომ კონფლიქტების საკითხი, სავარაუდოდ, კიდევ დიდხანს დარჩება ორ მხარეს შორის ურთიერთობებში „წითელ ხაზად“, ვინაიდან კრემლი დათმობას არ აპირებს, სავარაუდოდ, მთავარი სფერო, სადაც რუსეთი გააქტიურდება, ეკონომიკა იქნება. შესაბამისად, ძალიან საშიში ტენდენციაა, რომ ბოლო წლებში საქართველო სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული რუსეთზე ეკონომიკურად, იკარგება ეკონომიკური დამოუკიდებლობის, მოუწყვლადობის ხარისხი, რომელიც თავის დროზე რუსეთის მიერ შემოღებულმა ეკონომიკურმა ბლოკადამ მოუტანა საქართველოს.

ცხადია, რომ რუსეთი, ადრე თუ გვიან, ეკონომიკურ ბერკეტებს პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენებს, რისი პირველი ნიშნებიც უკვე გვაქვს თუნდაც ზახაროვას და პუტინის ზემოთ მოყვანილ განცხადებებში: ის ნარატივი, რომ „საქართველოს რუსეთი ჰაერივით სჭირდება“, სავარაუდოდ, პირველ რიგში, სწორედ მზარდ ეკონომიკურ დამოკიდებულებას გულისხმობს.

ამიტომაც საჭიროა ეფექტური მართვა იმ პოლიტიკური რისკებისა, რომელიც რუსეთთან ეკონომიკურ ურთიერთობებს თან სდევს და რაც, სამწუხაროდ, დღემდე არ კეთდება.

ასევე საჭიროა რუსეთის „რბილი ძალის“, რუსული პროპაგანდის ეფექტურად შეკავება. მაგალითად, დასავლეთის ბევრ ქვეყანაში აკრძალულია ან შეზღუდულია იმ რუსული ტელეარხების და საინფორმაციო საშუალებების მაუწყებლობა, რომლებიც დაუფარავად ეწევიან რუსულ სახელმწიფო პროპაგანდას და დემოკრატიული ღირებულებების დისკრიმინაციას. თვით ევროკავშირშიც კი, რომელიც, როგორც წესი, ძალიან ნელია თავის რეაგირებაში, ბოლო წლებში შეიქმნა სპეციალური სტრუქტურა რუსულ საინფორმაციო პროპაგანდასთან საბრძოლველად. საქართველოში კი ამის საწინააღმდეგო ხდება: რუსული პროპაგანდა თავის ნებაზეა მიშვებული.

გასაგებია, რომ საქართველოს მთავრობა ცდილობს, თავიდან აიცილოს რუსეთთან ღია დაძაბულობა, მაგრამ პირდაპირ თუ ვერ დახურავენ, იმდენი მაინც უნდა მოხერხდეს, რომ თუნდაც რაღაც ხელოვნურად გამოგონილი რეგულაციებით რეგიონებში რუსული ტელეარხების მაუწყებლობა შეიზღუდოს. თბილისში ეს პრობლემა ნაკლებად არის — საინფორმაციო სივრცე მაინც უფრო დივერსიფიცირებულია. თუმცა არც დედაქალაქს აწყენდა უფრო ჯანსაღი საინფორმაციო გარემო.

საჭიროა ასევე ჯანსაღი საინფორმაციო პროპაგანდა, რათა მოსახლეობამ ნაკლებად გამოიყენოს რუსული სოციალური მედიისა და პროპაგანდის სხვა საშუალებები. თუმცა ჯერჯერობით, სამწუხაროდ, არც ეს ხდება.

„საინფორმაციო თავდაცვის ლეგიონი“, გიორგი მოლოდინი:

2012 წელს საქართველოში ხელისუფლების შეცვლის მომენტიდან ბოლო დრომდე ოფიციალური თბილისის მიმართ რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ისტებლიშმენტის რიტორიკა მკვეთრად იყო შეცვლილი: მოსკოვმა, შეიძლება, ითქვას, უარი თქვა საქართველოს ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციაზე საინფორმაციო გარემოში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. თუმცა ჩემი ინფორმაციით, მთელი ამ პერიოდის განმავლობაშიც რუსი დიპლომატები რეალურად, მუდმივად ცდილობდნენ, დასავლელი კოლეგების თვალში საქართველო ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის მქონე ქვეყნად წარმოეჩინათ. 2018 წლიდან კი რუსეთის ხელისუფლებამ ოფიციალური თბილისის აშკარა და თვალშისაცემი დისკრედიტაცია გააახლა.

ამ ჭრილში ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს უნდა ახსოვდეთ, რომ წინა ხელისუფლების დროს სწორედ პუტინის მიერ დაიწყო საქართველოს „არაკომპეტენტურ სუვერენიტეტად“ მოხსენიება და, ფაქტობრივად, აუცილებელი გახდა აშშ-ის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტი და საქართველოსთვის „დემოკრატიის შუქურის“ სტატუსის მინიჭება. ეს იყო ორი განსხვავებული ნარატივის ჭიდილი იმ პერიოდში.

მოულოდნელი არაფერია იმაში, რომ რუსეთის ხელისუფლებამ გააგრძელა საქართველოს მიმართ ჩვეული პოლიტიკა. პუტინს აშშ-ზე, საქართველოზე და აშშ-საქართველოს ურთიერთობებზე საინფორმაციო შეტევა „შიდა მოხმარებისთვისაც“ სჭირდება: მან ხომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში საკუთარ ამომრჩეველში მნიშვნელოვნად (- 20%) დაკარგა ნდობა და მის რეიტინგს აუცილებლად რამე უნდა ეშველოს. ფორმა კი, რომელიც რუსულმა პროპაგანდისტულმა მანქანამ შეარჩია, კარგად არის დაცდილი რუსულ საზოგადოებაზე: ჯერ კიდევ რომელ წელს შენიშნეს თავად იქაურმა მეცნიერებმა, რომ რუსული მასობრივი გონი თავისი სისუსტის გამო ფაქტებსა და მოქმედებებზე ორიენტირებას ვერ ახდენს და მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ სიტყვას აქვს. ამდენად, უნდა ველოდოთ, რომ ეს საინფორმაციო შეტევა გაგრძელდება.

საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისით რუსეთის ხელისუფლება ამით არაფერს კარგავს: მისთვის „კაპიკის ფასი“ აქვს თბილისთან პარტნიორულ ურთიერთობებს. ის თამაშის სრულიად სხვა წესებით გვეთამაშება; ენა, რომელზეც ჩვენ მათ ვესაუბრებით, რუსული საზოგადოებისთვის და მის მიერ არჩეული ხელისუფლებისთვის სრულიად უცხოა. ამდენად, ურთიერთობების ნორმალიზებასა თუ რეგულირებაზე იმედის დამყარება სრულიად არაგონივრულია. რუსეთის ხელისუფლების ერთადერთი მიზანი საქართველოში პრორუსული ხელისუფლების საბოლოო გამარჯვებაა და ამ გზაზე ამ საინფორმაციო კამპანიას თავისი შედეგები მოაქვს.

სად არის გამოსავალი? — საზოგადოებაში სახელმწიფოსთვის ბრძოლის სურვილის გაჩენა-გაძლიერებაში!

ქართული სახელმწიფოსთვის ბრძოლის სურვილი კი კორუფციის, უსამართლობის, განუკითხაობის, ცუდი საგანმანათლებლო სისტემის, მიკერძოებული სასამართლოს პირობებში არ გაჩნდება.

„აქცენტი“

ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲒᲔᲑᲐ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲣᲠᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ?

ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘᲡ **თავი უკვე ძალიან ბებერი ჰგონია დიად საქმეთა მოსამოქმედებლად, ზოგს კი იმის დარდი აქვს, რომ სასახელო საქმეებისთვის ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. საინტერესოა, მაინც რა დროა საუკეთესო ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად და სახელის მოსახვეჭად?**

მიჩნეულია, რომ ქრისტეს ასაკი — 33 წელი, ყველაზე პროდუქტიულია ადამიანის ცხოვრებაში, მის შემოქმედებით ძალთა გაფურჩქვნის ხანაა და, თუკი ცხოვრებაში რაიმე დიდი საქმის გაკეთება უწერია, ეს დაახლოებით ამ დროში უნდა მოხდეს. თუმცა კი დიდ ადამიანთა ბიოგრაფიების გაცნობისას ვრწმუნდებით, რომ ყოველივე ეს აუცილებელი სულაც არ არის...

ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ, ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ

ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲡ ეს კაცი არა მარტო აღვირახსნილი ორგიებით, უაღრესად სასტიკი და უფრო მეტად უცნაური დანაშაულებებით დამახსოვრებოდა, მაგრამ 28 წლის ასაკს ჯერ კიდევ არმიღწეულმა რომის იმპერატორმა **კალიგულამ** დიდგვაროვან გავლენიან რომაელებს ყოველგვარ ზღვარსგადასული უზნეობით თავი ისე შეაძულა, რომ ყელი გამოღადრეს.

მეორე მისმა „თანამომძმე“, ფლიდობითა და ფარისევლობით, თანაც უკიდეგანო კეკლუცობით განთქმულმა **ნერონმა,** რომელსაც სეირის საცქერლად რომის დაწვის ბრალდებასაც უყენებენ ისტორიკოსები, თავი 30 წლის ასაკში მოიწამლა, ვინაიდან მის გარშემო კაცი აღარ დარჩა, ვისაც იგი ჭირის დღესავით არ სძულდა.

იმდროინდელი თითქმის მთელი ცივილიზებული სამყაროს, მათ შორის, საბერძნეთის, სირიის, ეგვიპტეს, ნახევარი ინდოეთისა და საერთოდ, აზიის დამპყრობი **ალექსანდრე მაკედონელი** კი ისევ „ახლობლებმა“ 32 წლის ასაკში მოწამლეს.

რუსეთის იმპერატორი **პეტრე დიდი** ტახტზე 10 წლის ასაკში ავიდა, თხუთმეტი წლის შემდეგ ერთი წლით ევროპაში წავიდა, იქიდან დაბრუნებულმა კი მანამდე სადღაც უკანა პლანზე არსებული რუსეთი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლავრეს ქვეყნად აქცია.

„წყეულმა კორსიკელმა“, საფრანგეთის დიდმა იმპერატორმა **ნაპოლეონ ბონაპარტემ** თითქმის მთელი ევროპა და ეგვიპტე 30 წლის ასაკში დაიპყრო, ინგლისელთა ტყვეობაში კი 51 წლისა გარდაიცვალა. რუსეთის იმპერატორმა **ნიკოლოზ II-მ** ტიტული 28 წლის ასაკში მიიღო, თავისი საბედისწერო უნიათო მმართველობა კი 50 წლის ასაკში დასრულა, როცა პირუტყვმა ბოლშევიკებმა იგი ოჯახთან და ერთგულ მსახურებთან ერთად დახვრიტეს.

ვ. ლენინის უფროსმა ძმამ — **ალექსანდრე ულიანოვმა** წარჩინებულ სწავლაში მიღებული ოქროს მედალი გაყიდა და იმ ფულით მეფის მოსაკლავად ასაფეთქებელი ნივთიერება იყიდა, თუმცა, როგორც ცნობილია, შეთქმულება ჩავარდა, სტუდენტი დაიჭირეს და 21 წლის ასაკში ჩამოახრჩვეს, რისთვისაც უმცროსმა „ძამიკომ“ მეფეზე 48 წლის ასაკში სასტიკი შური იძია.

ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲜᲘ

„ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ“ შეუდარებელი ქანდაკება **მიქელანჯელომ** 26 წლის ასაკში შექმნა, 24 წლისამ დაიწყო მსოფლიოში აღიარებული სიურეალისტური ფერწერა ესპანელმა **სალვადორ დალიმ**. თავისი უკვდავი ზღაპრები **ჰანს ქრისტიან ანდერსენმა** 30 წლის მიღწევის შემდეგ დაწერა. 28 წლის **ალექსანდრე პუშკინმა** პოემა „რუსლანი და ლუდმილაზე“ დაიწყო მუშაობა, 24 წლისამ — „ევგენი ონეგინზე“, 37 წლისა კი დუელში მოკლა 25 წლის დანტესმა, რომელმაც შემდეგ 83 წლის ასაკამდე იცოცხლა.

მიხეილ ლერმონტოვიც დუელში დაიღუპა, 26 წლისა თავისი თანატოლის **მარტინოვის** ხელით. **ნიკოლოზ გოგოლმა** სული 42 წლის ასაკში განუტევა. თავისი პირველი ლექსები **სერგეი ესენინმა** 19 წლის ასაკში გამოაქვეყნა, 30 წლისა კი თავი ჩამოიხრჩო.

უკვდავი „მერანი“ **ნიკოლოზ ბარათაშვილმა** 24 წლისამ შექმნა, 27 წლისა კი ტრაგიკულად დაიღუპა, **დიდმა გალაკტიონმა** სიცოცხლე თვითმკვლელობით 68 წლის ასაკში დაასრულა, **გურამ რჩეულიშვილი** კი 27 წლისა წავიდა ამქვეყნიდან.

ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ოპერები **მოცარტმა** 28 წლისამ შექმნა, 35 წლისა კი გარდაიცვალა, „მეხუთე სიმფონია“ და ოპერა „ევგენი ონეგინი“ **პეტრე ჩაიკოვსკიმ** 37 წლისამ დაწერა.

საქვეყნოდ ცნობილი სიმღერა **„ყოველ დღე“** (Yesterday) ექს-ბითლზმა **პოლ მაკარტნიმ** 23 წლის ასაკში შექმნა.პირველი სიმღერა სტუდიაში **ელვის პრესლიმ** 18 წლისამ ჩაწერა. სცენაზე პირველად კი **მაიკლ ჯექსონი** 5 წლისა გამოვიდა. **ვლადიმერ ვისოცკი** 42 წლის ასაკში გარდაიცვალა. **ალა პუგაჩოვამ** კი ცნობილი „არლეკინო“ 26 წლისამ იმღერა.

ᲛᲐᲨ, ᲑᲔᲑᲠᲔᲑᲛᲐ ᲠᲐᲦᲐ ᲥᲜᲐᲜ?

ᲨᲔᲣᲓᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ „ჯოკონდა“ **ლეონარდო და ვინჩიმ** 51 წლის ასაკში დახატა, **ქრისტეფორე კოლუმბმა** კი ამერიკა 41 წლისამ აღმოაჩინა. **მიხეილ კუტუზოვმა** ნაპოლეონს ომი 65 წლის ასაკში მოუგო, 69 წლის **ალექსანდრე სუვოროვმა** ალპები გადალახა ჯართან ერთად. 44 წლის ასაკში **მიხეილ ლომონოსოვმა** მოსკოვის უნივერსიტეტი დააარსა, 43 წლის **ზიგმუნდ ფროიდმა** კი თავისი ფსიქოანალიზის მეთოდი წარუდგინა მსოფლიოს.

მოამზადა
ᲓᲐᲚᲘ ᲮᲣᲜᲓᲐᲫᲔ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306¹6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ელგუჯა ხურციძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ელგუჯა ხურციძე (პ/ნ 60001047060), ქუთაისი, ნიკეას ქ. №50, ბინა №91.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქუთაისი, ნიკეას ქ. №50, ბინა №91 (საკადასტრო კოდი: 03.05.02.014.01.091https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 54803.19 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2018 წლის 24 ოქტომბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2018 წლის 9 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP56068918;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 560689
6. **მოვალე:** შალვა ლაშქარაშვილი (პ/ნ 37001037355), სამტრედია, სოფელი იანეთი;
ცისანა ხურციძე (პ/ნ 60001044244), ქუთაისი, ნიკეას ქ. №50, ბინა №91.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP56068918; ლოტის ნომერი: 560689).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 9 ნოემბრის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲐᲤᲚᲘ ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲮᲕᲓᲔᲡ...

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ევროპის მესამე ქვეყნების რიგში უკვე აღიარებულია, როგორც თაფლის იმპორტიორი“ — ამის შესახებ „კომერსანტს“ სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების საagენტოს თავმჯდომარემ **გიორგი მიშელაძემ** განუცხადა.

თუმცა მიშელაძე მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე ქვეყანაში დიდი რაოდენობით ერთგვაროვანი და ხარისხიანი თაფლის წარმოების საკითხი დგას.

„კომერსანტის“ კითხვაზე, რას აკეთებს სახელმწიფო იმისათვის, რომ ქვეყანაში ხარისხიანი თაფლის საწარმოებლად მეფუტკრეობა განვითარდეს? მიშელაძე გვპასუხობს, რომ „ამ მიმართულებით 2015 წლიდან კოოპერატივების ფარგლებში ვცდილობთ, რომ მაქსიმალურად მივცეთ შესაძლებლობა მეფუტკრეობის კოოპერატივებს, თანამედროვე აღჭურვილობები გაუჩნდეთ.

ეს ეხება სკებს, თაფლის გამოსაწურ დანადგარებს და შესანახ ავზებს. ეს წინაპირობაა იმისა, რომ მეფუტკრემ ხარისხიანი თაფლი აწარმოოს. ასევე სკების იდენტიფიცირების პროცესი დავიწყეთ.

უკვე ვიცით, რომელი ნომერი სკა რომელ კოოპერატივში იწარმოება. ამის პარალელურად მეფუტკრეების კვალიფიკაციის ამაღლება მიმდინარეობს. ჩვენ უკვე ორი წელია, მეფუტკრეებს კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებს ვუტარებთ. სამცხე- ჯავახეთში, რაჭა-ლეჩხუმში და სამეგრელოში. მათი გადამზადება წარმოების განვითარების თვალსაზრისით სხვადახვა კუთხით მოხდა“, — აღნიშნა მიშელაძემ.

2015 წლიდან მეფუტკრეების აღჭურვის მიმართულებით დღემდე მილიონ 630 ათასი ლარი დაიხარჯა. კოოპერატივების განვითარების საagენტოს თავმჯდომარის განცხადებით, დროთა განმავლობაში სამოყვარულო მეფუტკრეობიდან სამრეწველო წარმოებაზე უნდა გადავიდეთ.

მიშელაძის თქმით, ეს თავისთავად გულისხმობს იმას, რომ მეფუტკრე ხარისხიანი თაფლის წარმოებისთვის უფრო მონდომებული იქნება. ხოლო ჩატარებული სხვადასხვა სახის ღონისძიება ქართველ მეფუტკრეებს შესაძლებლობას მისცემს, რომ ქართული თაფლი ევროპის ბაზარზე მოხვდეს.

„სოფლის მეურნეობის სამინისტროს თაფლის შესამოწმებლად ლაბორატორიაში მაღალი დონის აღჭურვილობები აქვს. მთავარია, მეფუტკრეებმა გაიაზრონ, რომ მათი თაფლის შემოწმება საჭიროა და დაინახონ, თუ რა სახის ხარვეზი არსებობს, რომ შემდგომში ეს ხარვეზი გამოასწორონ.“

დღეს რა სახის პრობლემები დგას? **„მეფუტკრეები ვერ ერკვევიან, რა პერიოდში რომელი სახის პრეპარატი უნდა გამოიყენონ. ჩვენ მათ ამისთვის სპეციალური ახალი აღჭურვილობა გადავეცით, რათა ძველი ჩაენაცვლებინათ. ვასწავლით, რა პერიოდში რომელი პრეპარატია რეკომენდებული ფუტკრისთვის“** — განმარტავს მიშელაძე.

ᲚᲘᲙᲐ ᲒᲣᲠᲐᲑᲐᲜᲘᲫᲔ

◎ მემორიალი

უკვე - „დელტაც!“

დუდუ დადიანის მემორიალის გამარჯვებული თბილისის „დელტა“ გახდა. ლექსო ლაფანაშვილის, ბექა ქარცივაძის, დავით არწივიძისა და ვაკა ბიჭაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა ფინალურ მატჩში „შსს აკადემიატიტები“ 85:75 დაამარცხა და კლუბის ისტორიაში პირველ ოფიციალურ წოდებას დაეუფლა.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ასპარეზობა 2002 წლიდან იმართება და იგი წლეულს მეჩვიდმეტედ ჩატარდა. ტურნირში მონაწილეობა სუპერლიგის ათივე წარმომადგენელმა მიიღო, რომლებიც 2 ჯგუფში იყვნენ გადანაწილებულნი და სატიტულო ბრძოლაში თამაშის უფლება ჯგუფების გამარჯვებულებმა მიიღეს.

ფინალში ერთმანეთს სუპერლიგის დებიუტანტი და უმაღლეს ლიგაში შარშან გადმოსული გუნდი შეხვდნენ. „ტიტებისა“ და „დელტას“ დაპირისპირება საკმაოდ დაძაბული გამოდგა და მისი ბედი ბოლო წუთებზე „დელტას“ სასარგებლოდ გადაწყდა. ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ ბექა ბექაური დასახელდა, რომელმაც გადამწყვეტი შეხვედრა 21 ქულით და 8 მოხსნით დაასრულა. იგი სპეციალური პრიზით დაჯილდოვეს, ხოლო დუდუ დადიანის 2018 წლის გათამაშების თასი „დელტას“ კაპიტან ზვიად ანთაძეს დუდუ დადიანის ძმისშვილებმა – ნიტა და სანდრო დადიანებმა გადასცეს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ტაბლო

ფეხბურთი

ლიეტუვა. „აიტეიტისის თასი“ 12-წლამდელთა შორის. თბილისის „დინამო“ (მწვრთნელი კახა გოგოლაძე) – II ადგილი. I ჯგუფური ეტაპი. „დინამო“ – „ბათი“ (ინგლისი) 1:0. „დინამო – „ალბერტსი“ (ლატვია) 2:1. **II ჯგუფური ეტაპი.** „დინამო“ – ჰიკი (ფინეთი) 1:0. „დინამო“ – „დინამო“ (რიგა) 0:0. **ნახევარფინალი.** „დინამო“ – „ოსლო“ (ნორვეგია) 3:0. **ფინალი.** კიევის „დინამო“ – „დინამო“ 2:0.

საუკეთესო ნახევარმცველი – მიხეილ საჯაია.

ფიგურული სრიალი

ბელარუსი. საერთაშორისო ტურნირი „აის სთარ 2018“. იუნიორები. ერთეულთა კატეგორია. ირაკლი მაისურაძე – I ადგილი. მოკლე და თავისუფალი პროგრამების ჯამი – 209,14 ქულა.

◎ ჩოგბურთი

ოცეულის ზღურბლთან

ATP-ის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა გუშინ განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც ნიკოლოზ ბასილაშვილმა 23-დან 24-ე პოზიციაზე გადაინაცვლა. ათეულში მხოლოდ ერთი ცვლილება მოხდა – ჯონ იზნერი მეცხრე ადგილზე აღზევდა, ხოლო გრიგორ დიმიტროვი მეათეზე გადავიდა.

დავძენთ, რომ ვენის ტურნირის პირველ წრეში ნიკოლოზ ბასილაშვილი მსოფლიო რეიტინგის მერვე ნომერ კევინ ანდერსონთან სამ სეტში დამარცხდა – 6:4, 6:7, 3:6.

რაფაელ ნადალი – 7660 ქულა, ნოვაკ ჯოკოვიჩი 7445, როჯერ ფედერერი – 6260, ხუან მარტინ დელ პოტრო – 5760, ალექსანდრ ზვერევი – 5025, მარინ ჩილიჩი – 4185, დომინიკ ტიმი – 3825, კევინ ანდერსონი – 3730, ჯონ იზნერი – 3380, გრიგორ დიმიტროვი – 3335... 24. ნიკოლოზ ბასილაშვილი –1767 ქულა.

კობა კობახიძე

◎ სპორტული კრიმინალი

ტერაქტები, გვამების დანაწევრება, ყალბი ფულის მოჭრა...

დასამალი არ არის, რომ ერთი და იგივე სახეობის დანაშაულის ჩადენისას ჩვენებური თემიდა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ცნობილი პირების, ეგრეთ წოდებული „საჯარო სახეების“ მიმართ გაცილებით ლმობიერი და შემწყალებელია, ვიდრე ჩვეულებრივ მოკვდავთა მიმართ. კანონი, მართალია, ყველასთვის ერთია, მაგრამ პრაქტიკა სულ სხვა სურათს წარმოგვიჩენს. ეს, ცხადია, მარტო ქართული სინამდვილე არ გახლავთ, ასეა საზღვარგარეთაც, თუმცა კი გაცილებით ხშირია შემთხვევები, როცა ამა თუ იმ

„ცნობადი სახის“ საქვეყნოდ, სამაგალითოდ (და რაც მთავარია, სამართლიანად) დასჯა, ადგილობრივ სამართალდამცველთა, ზოგადად მართლმსაჯულების ღირსების საქმე ხდება ხოლმე. საამისოდ თუნდაც ცნობილი ჰოლივუდელი პროდიუსერის ჰარვი ვაინშტეინის ამბავი ავიღოთ, თუმცა კი აქ, სიმართლე გითხრათ, ბევრი გარემოება, ცოტა არ იყოს, ეჭვს ჰბადებს.

მაგრამ, ასეა თუ ისე, ვთქვათ, სპორტული ვარსკვლავის მკაცრად დასჯა ბევრგან გარკვეული პრესტიჟის საქმედაც ითვლება. დასავლეთში ბევრი სპორტსმენი ციხეშიც იჯდა, ბევრმა პირობითი სასჯელიც მიიღო, მათ შორის ბოლო წლების ევროპის საუკეთესო ფეხბურთელებმაც **კრიშტიანუ რონალდუმ** და **ლიონელ მესიმ** – მათ სასჯელი გადასახადებისგან თავის არიდების გამო დააკისრეს, მაგრამ, ისიცაა, რომ თანამედროვე ფეხბურთის ვარსკვლავები არა მარტო ფინანსური მაქინაციების გამო ისჯებიან.

მაგალითად, **ჯორჯ ბესტს** თავის დროზე ბრალდება ავტომანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო ჰქონდა წარდგენილი. თუმცა კი, ამის მიუხედავად, მის სახელს დღესდღეობით ირლანდიის დედაქალაქის ბელფასტის აეროპორტი ატარებს. ოდესღაც „შეშლილი ჯორჯი“, როგორც მას სპორტულმა ჟურნალისტებმა შეარქვეს, რომ იტყვიან, ბრიტანულ სტადიონებზე გულშემატკივრებს „ყურებზე აყენებდა“, თავად კი უაღრესად ლამაზ, ტექნიკურ, ამავდროულად საკმაოდ ხისტ ფეხბურთს თამაშობდა, თავისუფალ დროს კი ლამაზმან ტოპმოდელებთან დროს ღრეობებში ატარებდა. მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ ასეთი ცხოვრება მუდმივად არ გრძელდება. 1984 წელს სასამართლომ ბესტი დამნაშავედ ცნო ავტომანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვასა და პოლიციელზე თავდასხმაში, რის გამო სამი თვით პატიმრობა მიუსაჯეს. მართალია, გისოსებს მიღმა ჯორჯი კვლავაც განაგრძობდა ფეხბურთის თამაშს, მაგრამ როგორც კი ციხიდან გამოუშვეს, საფეხბურთო კარიერა დასრულა. ბოლოს კი მთლად გალოთდა და 59 წლის ასაკში ღვიძლის დაავადებისა და ალკოჰოლისა და დეპრესანტების მიღების შედეგად მიღებული მრავალრიცხოვანი დაზიანებებისგან გარდაიცვალა.

იტალიური ფეხბურთის კაშკაშა ვარსკვლავს **პაოლო როსის** კი, სამართალდამცველებმა ტოტალიზატორში მაქინაციებში წაუყენეს ბრალი. ეს იმის იშვიათი შემთხვევაა, თუ როგორ შუძლია ციხეს კაცის ჭკუაზე მოყვანა. იტალიელი ფეხბურთელის ბრალი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი დანაშაულებრივად ურიგდებოდა იატაკქვეშა ტოტალიზატორებს და თამაშების „საჭირო“ ანგარიშით დამთავრებას უზრუნველყოფდა. ციხეში გატარებულმა რამდენიმე თვემ და შემდგომმა დისკვალიფიკაციამ იგი გონზე მოიყვანა, ხოლო ფეხბურთიდან მოკვეთის ვადის გასვლის შემდეგ პაოლო როსი ისე ათამაშდა, რომ 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა!

დიდ **დიეგო მარადონას** კი თემიდის მსახურებმა ბრალი ნარკოტიკების შენახვასა და მოხმარებაში წაუყენეს. როგორც ჩანს, მარადონას უნდოდა ცხოვრებაში ყველანაირი „კაიფი“ მოესინჯა, რისთვისაც დიდი საფასურის გადახდა მოუწია. მაგალითად, 1991 წელს დიეგო არგენტინაში წინასწარი გამოძიების იზოლატორში მოხვდა. ნეაპოლიდან შინ დაბრუნებულმა ნარკოტიკების მოხმარება აღიარა, შემდეგ კი იგი 36 გრამი კოკაინით დააკავეს. მას ციხეში რამდენიმე დღის გატარებამ მოუწია, ვიდრე მეგობრები უზარმაზარი გირაოს გადაიხდიდნენ. ამ შემთხვევის შემდეგ ფეხბურთს იგი კიდევ 6 წელს თამაშობდა, მაგრამ ეს უკვე იმ დიდი ფეხბურთელის აჩრდილიღა იყო, რომელსაც თავისი უზადო ოსტატობით ოდესღაც ჭკუაზე გადაჰყავდა მილიონობით გულშემატკივარი.

პიტერ სთორის კი ბრალდება ყალბი ფულის მოჭრაში წაუყენეს, რაც სპორტსმენებში დიდად ეგზოტიკური დანაშაულია. გასული საუკუნის 70-იანი წლების „არსენალის“ მცველი ბევრი რამით გამოირჩეოდა – ფეხებს ამტვრევდა მოწინააღმდეგის ფეხბურთელებს, სულ ვიღაცებთან ხელჩართული ჩხუბი ჰქონდა. არადა, ციხეში არა თავისი მყრალი ხასიათის, არამედ იმის გამო მოხვდა, რომ ყალბი ფულის დასამზადებელი ყალიბი დაამზადა! ყველა სიკეთესთან ერთად, იგი პორნოგრაფიასაც ავრცელებდა და საროსკიპოშიც უწესო კლიენტების „დამშოშმინებელი“ ბრძანდებოდა, რაშიც მოსამართლემ თავისუფლების აღკვეთის სამწლიანი „ჰონორარი“ გამოუწერა.

საოცრად „კოხტა“ თიკუნი „პირუტყვი“ ჰქონდა ცნობილ ფეხბურთელს **ედმუნდოს**. ციხეში კი ის იმისთვის კი არ იჯდა, რომ მაიმუნებს ლუდით ათრობდა და ტრიბუნებზე მაყურებლებს კი... თავის გენიტალიებს აჩვენებდა, არამედ იმიტომ, რომ მთვრალმა მანქანით სამი კაცი გაიტანა. მას 4,5 წელი მიუსაჯეს, თანაც ღამეებს იგი ციხეში ატარებდა, დღისით კი... ვარჯიშებზე დადიოდა(?!!).



ტუნისელი ფეხბურთელი **ნიზარ ტრაბელსი** ტერორისტული აქტის მომზადებისთვის დაუკავეს: 10 წლით პატიმრობა მას იმისთვის მიუსაჯეს, რომ ამერიკული სამხედრო ბაზის აფეთქება უნდოდა. იმის მაგივრად, რომ გულდამშვიდებულს გერმანიის „ფორტუნაში“ ეთამაშა, ტრაბელსი თავის დროზე ავღანეთში წავიდა, სადაც უსამა ბენ-ლადენი გაიცნო, რის შემდეგ ბელგიაში ტერაქტების მოსაწყობად ჩაბრძანდა.

ბრაზილიელი **ბრენო ბორჟესი** კი შვიდი წლის წინათ დათვრა და, დაზღვევის მიღების მიზნით, საკუთარი სახლი დაწვა. არადა, სოლიდური სადაზღვევო თანხის მაგივრად მან ამით მხოლოდ 3 წელი და 9 თვე ციხეში ყოფნა „გამოიმუშავა“. ორიოდე წლის შემდეგ იგი გამოუშვეს და ახლა კვლავ ბურთს აგორებს მწვანე მინდორზე.

კიდევ ერთმა ბრაზილიელმა გოლკიპერმა **ბრუნომ** საერთაშორისო პოპულარულობა კრიმინალური დრამის შედეგად მოიპოვა. თანამზრახველებთან ერთად მან თავისი საყვარელი იმის გამო მოკლა, რომ იგი მას ალიმენტებს სთხოვდა. მკვლელობის შემდეგ დამნაშავეებმა ქალის ცხედარი დაანაწევრეს და... ძაღლებს შეაჭამეს. ამ სასტიკი დანაშაულის ორგანიზებისთვის მეკარეს 22 წელი მიუსაჯეს, მაგრამ 2017 წელს იგი რაღაც მიზეზით გაათავისუფლეს და, მოარული ხმებით, რამდენიმე კლუბი კარიერის გასაგრძელებლად ეპატიჟება.

ნეტა მაგათ თავში ჩამახედა!

ნინო ალექსანდრია

სამტრედიაში გიორგი კახიანის სახლი გაქურდეს

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის გიორგი კახიანის სახლი გაქურდეს. არსებული ინფორმაციით, შემთხვევა რამდენიმე დღის წინათ მოხდა და დამნაშავეები უკვე დაკავებული არიან.

კახიანის სახლის გაქურდვის ფაქტს ადასტურებს შსს. დაკავებულია სამი პირი

ყაჩაღობა და პოლიციელზე თავდასხმა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ყაჩაღობაში, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-ტარებაში და პოლიციელზე თავდასხმისთვის ბრალდებული შ.კ. დამნაშავედ ცნო.

2018 წლის 12 იანვარს, დაახლოებით 23:20 საათზე, ქურდობისთვის ნასამართლევი შ.კ. თბილისში, გლდანის მე-8 მიკრორაიონში მდებარე ხილ-ბოსტნის მაღაზიაში, თავს დაესხა გამყიდველს გ.კ-ს და მაღაზიაში მყოფ თ.კ.-ს, მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღიდან ერთხელ გაისროლა და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, გ.კ-ს კუთვნილ თანხას დაეუფლა, შემდეგ შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სასამართლო პროცესზე ასევე დადასტურდა, რომ შ.კ. 2018 წლის 14 იანვარს, დაახლოებით 23:00 საათზე, თბილისში, გლდანში შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრი"-ს ავტოსადგომზე, თავს დაესხა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში მყოფ პოლიციის თანამშრომლებს გ.ჟ.-ს და ა.თ.-ს, მათი მიმართულებით მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლა განახორციელა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა შ.კ. 2018 წლის 19 იანვარს, თბილისი, გლდანის მე-6 მკ/რ-ში დაკავეს. თბილისის საქალაქო სასამართლომ შ.კ. დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახედ და ზომად 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ბათუმში კორპუსიდან მამაკაცი გადმოვარდა

ბათუმში, გორგილაძის ქუჩაზე საცხოვრებელი კორპუსიდან მამაკაცი გადმოვარდა.

„აჭარის ტელევიზიის" ინფორმაციით, შემთხვევის ადგილზე მისულ მედიკოსებს კაცი უკვე გარდაცვლილი დახვდათ.

შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველები იმყოფებოდნენ.

გარდაცვლილი ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გადაასვენეს.

სანთელი

თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი ღრმა გულისტკივილით იუწყება შესანიშნავი, აღიარებული მეცნიერის, კეთილშობილი მეგობრის, მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ

გენრი დეკანოსიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნანი გერგაიას

მამის

გარდაცვალების გამო.

საქართველოში აცივდება

25 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრის დილამდე საქართველოში მოსალოდნელია ცივი და ნოტიო ჰაერის მასების გავრცელება, წვიმა ელჭექით, ზოგან ძლიერი, 26-27 ოქტომბერს ჰაერის ტემპერატურის მნიშვნელოვანი დაკლება, მაღალმთაში თოვლი, ზოგან ძლიერი ქარი, ზღვაზე შესაძლებელია 4 – 5-ბალიანი შტორმი.

მოსალოდნელმა ძლიერმა ნალექებმა შესაძლებელია საქართველოს მდინარეებზე წყლის დონის მნიშვნელოვანი მატება, პატარა მდინარეებზე წყალმოვარდნები, ხოლო ქვეყნის მთიან ზონებში მეწყრულ-ღვარცოფული პროცესების ჩასახვა-გააქტიურება გამოიწვიოს.

◎ ისტორიის ქარი

ანტისტალინური სისაძაგლე

იოსებ სტალინის 128 წლისთავისთვის მოსკოვური გამოცემა „ალგორითმი" იუწყება სერიის „37-ის საიდუმლოს" ახალი წიგნის გამოსვლას – „ანტისტალინური სისაძაგლე". მისი ავტორია ამერიკელი პუბლიცისტი, შრომის პროგრესული პარტიის აქტივისტი ბრუვერ ფერი, რომელიც სკკპ მე-20 ყრილობაზე ნ. ხრუშჩოვის სიტყვას აანალიზებს და დასკვნა გამოაქვს, რომ „...დახურული მოხსენების" არც ერთი მტკიცებულება, რომელიც თითქოსდა სტალინსა თუ ბერიას პირდაპირ „ამხელდა", სიმართლის შესაბამისი არ აღმოჩნდა".

შემდგომ გაირკვა, რომ თავის გამოსვლაში ხრუშჩოვს არც სტალინზე, არც ბერიაზე სიმართლის შესაბამისი არაფერი უთქვამს.

„ნ. ხრუშჩოვის მიერ 1956 წლის 25 თებერვალს წაკითხული „დახურული მოხსენების" 50 წლისთავს ადვილად საწინასწარმეტყველო გამოსვლები და კომენტარები მოჰყვა. ლონდონის გაზეთმა „ტელეგრაფმა" მოხსენება „მე-20 საუკუნის ყველაზე გავლენიან სიტყვად" მონათლა. იმავე დღეს „ნიუ-იორკ თაიმსში" გამოქვეყნებულ წერილში კი, 2004 წლის პულიტცერის პრემიის ლაურეატის უილიამ ტაუმანმა კი, რომელმაც ამერიკული პუბლიცისტიკის ეს უმაღლესი ჯილდო ხრუშჩოვის ბიოგრაფიაში მიიღო, მის გამოსვლას „გმირობა" უწოდა, რომელიც მოვლენათა კალენდარში „აღნიშვნის ღირსია".

ჰოდა, ცოტა ხნის წინათ აზრად მომივიდა, რომ ხანგრძლივი დროის შემდეგ ხრუშჩოვის „დახურული მოხსენება" გადამეკითხა. კითხვისას ამ მოხსენების მრავალ უაზრობას მივაქციე ყურადღება. რაღაც მსგავსი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „დიდ წმენდათა სათავეები" ასევე ჯ. არჩიბალდ გეტიმაც აღნიშნა: „ხრუშჩოვის მტკიცებულებებში სხვა შეუსაბამობებს შორის – ეჟოვის ბერიათი შეცვლაა. იმის მიუხედავად, რომ ეჟოვის სახელი შიგადაშიგ ნახსენებია, ამდენ დანაშაულსა და რეპრესიებში მრავალრიცხოვანი ბრალდებები მაინც ძირითადად ბერიას აქვს წაყენებული; არადა, 1938 წლამდე ეს უკანასკნელი რეგიონული პარტიული მდივნის თანამდებობას იკავებდა. შემდგომ, მრავალ ცნობაში აღნიშნულია, რომ პოლიციურმა ტერორმა კლება მას შემდეგ დაიწყო, რაც 1938 წელს ეჟოვი ბერიამ შეცვალა. როგორ შეძლო ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში ეჟოვის ასე უსინდისოდ შეცვლა. კიდევ რის გაბუნდოვნება სურდა? ყოველ შემთხვევაში მანამდე ცოტა ხნით ადრე ხრუშჩოვისა და მაშინდელი ხელმძღვანელობის მიერ სიკვდილით დასჯილი ბერია მეტად მოსახერხებელ განტევების ვაცად იქცა. ცხადია, ბერიას სახელის გამოყენება წმინდა კონიუნქტურული მიზნებით ჩრდილს აყენებს ხრუშჩოვის სხვა მტკიცებულებებს.

ერთი სიტყვით, ერთ დროს თითქოს სამუდამოდ დახურული საბჭოური არქივებიდან მოპოვებულ საბუთებზე დაყრდნობით, რომლებმაც ახლა თავისი კარები ისტორიკოსებს გაუღეს, შეიძლებოდა გამოკვლევის ჩატარება, რომლის მეშვეობით შეიძლებოდა ხრუშჩოვის მოხსენებაში სტალინის „მხილების" კიდევ მეტი ცრუ ცნობის მიგნება. ფაქტობრივად კი, მე სულ სხვა აღმოჩენის გაკეთება მოვახერხე: **„დახურული მოხსენების" ყველა მტკიცებულებიდან, რომელიც სტალინსა თუ ბერიას „პირდაპირ" ამხელდა, სამართლიანი არც ერთი არ გამოდგა. უფრო სწორად კი, მათ შორის, რომლებიც შემოწმებას ექვემდებარება, უკლებლივ ყველა სიცრუე აღმოჩნდა. როგორც ირკვევა, თავის სიტყვაში ხრუშჩოვს სტალინისა და ბერიას შესახებ არც ერთი სიმართლე არ უთქვამს.** მთელი „დახურული მოხსენება" სულ გაყალბებებითაა აღსავსე. აი, სწორედ ესაა ის „გმირული" მოხსენება, რომლის გამო ტაუბმანს ხრუშჩოვი ზეცაში აჰყავს!

ჩემთვის, როგორც მეცნიერისთვის, ეს აღმოჩენა უსიამო და არასასურველიც კი აღმოჩნდა. ჩემი გამოკვლევა, ცხადია, ისედაც გაოცებასა და სკეპტიციზმს გამოიწვევდა, თუკი, როგორც ვფიქრობდი, მაგალითად, აღმოჩნდებოდა, რომ ხრუშჩოვის „მხილებათა" დაახლოებით მეოთხედი სიყალბედ უნდა ჩაითვალოს. მაგრამ, აი, რამ ამაღელვა ყველაზე მეტად და დღემდე მაწუხებს: თუკი მე იმის მტკიცებას მოვყვები, რომ ხრუშჩოვის თითოეული „მხილება" სიყალბეა, დაუჯერებენ კი ჩემს არგუმენტებს? და თუ არა, მაშინ უკვე აზრი აღარ ექნება იმას, თუ რამდენად გულდასმით და სკრუპულოზურად მიუდგა ავტორი მოწმობათა განზოგადებას, რომლებიც თავად მტკიცებათა სამართლიანობას ადასტურებს...

ნუთუ მე-20 საუკუნის (თუ არა ყველა დროის!) „ყველაზე გავლენიანი სიტყვა" თაღლითობის ნაყოფია? ეს აზრი თავისთავად გასაფიქრებლადაც მკრეხელური ჩანს. საქმე ხომ არა მხოლოდ სიტყვაში, არამედ მის თვალნათლივ შედეგებშია. საკითხავია, ვინ მოისურვებს საბჭოთა კავშირის, კომინტერნისა და მთელი მსოფლიო ისტორიის, რომ იტყვიან, „ნულიდან" გამოხედვას მხოლოდ იმის გამო, რომ ეს ჩემ მიერ წამოყენებული მოსაზრებების ლოგიკიდან გამომდინარეობს? განა გაცილებით ადვილი არ არის საქმის ისე წარმოჩენა, თითქოს ავტორი ფსევდოისტორიული რაღაცების შეთითხვნითაა დაკავებული, სიმართლეს ჩქმალავს და საკუთრივ აყალბებს იმას, რაშიც უტიფრად ცდილობს ხრუშჩოვისთვის ბრალის წაყენებას? ასეთი მიდგომის შემთხვევაში, ჩემს გამოკვლევათა შედეგი „თაროზე" ადვილად „შემოსადები" იქნება და პრობლემაც თავისით გაქრება.

თუმცა, საქმე კიდევ იმაშია, რომ ამ სტრიქონთა ავტორმა გარკვეული სახელი მოიხვეჭა სტალინის ჯერ როგორც პიროვნებისადმი, ასევე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისადმი თავისი სიმპათიების გამო, რომლის აღიარებული ლიდერი სტალინი მრავალი ათწლეულის მანძილზე იყო. როცა მკვლევარს ის დასკვნები გამოაქვს, რომლებიც ძალიან კარგად მიესადაგება მის მიკერძოებულ პოლიტიკურ სიმპათიებს, ყველაზე გონივრული, რისი გაკეთებაც შეიძლება – ესაა ასეთი ავტორის, სულ მცირე, ობიექტურობის უკმარისობაში დადანაშაულება. ამიტომაა სწორედ, რომ მე თავს გაცილებით უფრო მშვიდად ვიგრძნობდი, თუკი ჩემ მიერ ჩატარებული სამეცნიერო ნამუშევრიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ სტალინისა და ბერიას „მხილებათა" სულ მცირე, სამი მეოთხედი სიცრუეა.

მაგრამ, ვინაიდან აღმოჩნდა, რომ ხრუშჩოვის ყველა მხილება არსებითად არასამართლიანია, მათი სიცრუის დამტკიცება როგორც მეცნიერს, მე უფრო მძიმე ტვირთად მაწვება, ვიდრე ეს სხვა შემთხვევაში მოხდებოდა. შესაბამისად. მინდა იმედი ვიქონიო, რომ მკითხველი გაგებით მოეკიდება მასალის მოწოდების ერთობ უჩვეულო ფორმას.

მთელი წიგნი იყოფა ორ დამოუკიდებელ, ოღონდ სადღაც ერთმანეთის გადამკვეთ ნაწილად. პირველ ნაწილში (თავები 1-9) გარჩეულია მოხსენების ის დებულებები, რომლებიც ხრუშჩოვის „მხილებათა" კვინტესენციად უნდა მივიჩნიოთ. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ მათ შორის 61 ასეთი მტკიცებულების გამოვლენა შევძელი.

„მხილებითი" განცხადებებიდან თითოეულს წინ უძღვის „დახურული მოხსენების" ციტატა, რის შემდეგ იგი ისტორიულ მოწმობათა პრიზმითაა განხილული, ავტორმა მიზნად დაისახა არსებულებიდან საუკეთესოები წარმოედგინა; მათი უმეტესობა რუსეთული არქივებიდანაა აღებული.

წიგნის მეორე ნაწილი (თავები 10-12) მეთოდოლოგიური ხასიათის საკითხებს, აგრეთვე ჩემ მიერ შესრულებული სამუშაოდან გამომდინარე დასკვნებს აქვს დათმობილი. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია იმ ტიპოლოგიურ მაგალითებზე, რომლებსაც ხრუშჩოვი თავის თავიდან ბოლომდე გაყალბებულ მოხსენებაში იყენებდა. ასევე განხილულია იმ პარტიულ ხელმძღვანელთა სარეაბილიტაციო მასალები, რომელთა სახელები „დახურულ" სიტყვაშია ნახსენები.

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას წყაროებზე მითითების თაობაზეც. ტრადიციულ დანარჩენებთან ერთად, ავტორი, სადაც კი შესაძლებელი იყო, წყაროების სრულად, ანდა ინტერნეტში ნაწილობრივ არსებულებს იმოწმებს."

ბრუვერ ფერი,
2006 წლის ოქტომბერი

◎ გვიმრავლოს!

31 წლის ფიზიკოს ზურაბ გუგუჩიას საერთაშორისო აღიარება



შვეიცარიაში მცხოვრები ქართველი ფიზიკოსის ზურაბ გუგუჩიასთვის 2018 წლის შემოდგომა განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა. ამერიკის ფიზიკოსთა საზოგადოების (American Physical Sociaty) პრესტიჟული სამეცნიერო ჟურნალის — Physical Review B-ის რედაქციამ მისი სტატია „ფაზური სეპარაცია ზეგამტარულ და დაიმერის ფლუქტუაციებს შორის“ ოქტომბრის საუკეთესო სამეცნიერო პუბლიკაციად აღიარა. ცნობისათვის, ამ ჟურნალში ყოველთვიურად 70-ზე მეტი ქვეყნის მეცნიერთა 200-ზე მეტი სტატია ქვეყნდება. სექტემბერში კი შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა ზურაბ გუგუჩია ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერად დაასახელა.

ზურაბ გუგუჩია 1987 წელს სოხუმში დაიბადა. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი. 2013 წელს ციურიხის უნივერსიტეტის (შვეიცარია) სამეცნიერო საბჭომ მიანიჭა ესპერიმენტული ფიზიკის დოქტორის ხარისხი. 2016-2018 წლებში კოლუმბიის უნივერსიტეტის (აშშ) მეცნიერი თანამშრომელია, 2018 წლის აგვისტოდან ზურაბ გუგუჩია შვეიცარიის ყველაზე მასშტაბური ეროვნული სამეცნიერო ცენტრის — პაულ შერერის კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი და მაღალი ველის მიონის ლაბორატორიის ხელმძღვანელია. პარალელურად აგრძელებს მუშაობას მიწვეულ მეცნიერად ამერიკის შეერთებული შტატების კოლუმბიისა და პრინსტონის ორ დიდ უნივერსიტეტში.

აღსანიშნავია, რომ ზურაბ გუგუჩიას ახალი ნაშრომი წლის ბოლომდე მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალ Science Advance-ში გამოქვეყნდება. ნაშრომი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ავტორმა პირველად აღმოაჩინა სტატიკური მაგნიტური მოწესრიგება გრაფენის ტიპის ორგანზომილებიან სისტემებში. ეს სანობელო რანგის აღმოჩენა უკვე აღიარა ავტორიტეტულმა სამეცნიერო წრეებმა ბოლო პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე სენსაციურ სიახლედ.

მარცხნიდან მარჯვნივ: ალექს მიულერი, ერვინ შრედინგერი, ალბერტ აინშტაინი, მაქს ლაუე, კახმეგ კუდავა, ზურაბ გუგუჩია, ვილჰელმ რენტგენი.

კახმეგ კუდავა,
სპეციალურად
„საქართველოს რესპუბლიკისათვის“,
ციურიხი, შვეიცარია.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
299-02-10
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„მე ნაციონალისტი ვააააარ“!

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ის ნაციონალისტია და თან მოუწოდა ყველას, ეს სიტყვა ეხმარათ იმ გაგებით, რომ ის თავისი ქვეყნის ინტერესებს პირველ ადგილას აყენებს. „იცით, არის სიტყვა, ის ძველმოდური გახდა თითქოს, ეს სიტყვაა „ნაციონალისტი“, და მე ვამბობ, რომ ჩვენ ეს სიტყვა არ უნდა ვიხმაროთ, მაგრამ იცით მე ვინ ვარ? მე ნაციონალისტი ვარ. ნაციონალისტი. იხმარეთ ეს სიტყვა.“ — განაცხადა ტრამპმა ტეხასში მიტინგზე.

ნიუ-იორკში ჯორჯ სოროსის აფეთქება სურდათ

ამერიკელი მილიარდერის ჯორჯ სოროსის სახლის საფოსტო ყუთში სამართალდამცავებმა ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს. ამის შესახებ აშშ-ის პრესა წერს, ბედფორდში სოროსის რეზიდენციის მომსახურე პერსონალმა საეჭვო შეკვრა ფოსტის ყუთში შენიშნა, გამოიღო და უკაცრიელ ადგილას წაიღო, რის შემდეგაც პოლიციას შეატყობინა. გამნაღმველებმა კონტროლირებული აფეთქება მოახდინეს. თავად სოროსი სახლში არ იმყოფებოდა.

ქართული მულტფილმები დიდ ეკრანს დაუბრუნდება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა და კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ მუშაობა დაიწყეს ერთობლივ პროექტზე — „რე-ანიმაცია“, რაც ქართული მულტიპლიკაციური ფილმების ციფრულ მატარებელზე გადატანას, რესტავრაციასა და კინოთეატრში ჩვენებას ითვალისწინებს.

კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ 300-ზე მეტი ქართული მულტიპლიკაციური ფილმია დაცული. პირველ ეტაპზე დაგეგმილია 1960-1980 წლების 20-მდე ფილმის დიგიტალიზაცია და რესტავრაცია, შემდეგ კი პატარა და მოზარდი მაყურებლისათვის მათი წარდგენა ეროვნული არქივის კინოთეატრში.

ანიმაციური ფილმების ციფრულ მატარებელზე გადატანა ეროვნული არქივის მაღალი გარჩევადობის კინოსკანერზე მიმდინარეობს. მულტიპლიკაციური ფილმების ციფრულ ასლს ფერის, გამოსახულებისა და ხმის კორექცია უკეთდება, რაც მისი პირვანდელი სახის აღდგენას ემსახურება.

პროექტის პირველ ეტაპზე სპეციალისტები მუშაობენ შემდეგ მულტიპლიკაციურ ფილმებზე: „თერძი ბესო“, „საზამთრო“, „ჩიკორიკო“, „ყოჩაღი ბაკური“, „ერთხელ ტყეში“, „ბუმბული“, „სახლობანა“, „ბომბორა“, „ხელმარჯვე ოსტატი“, „ლურჯა“ და სხვ.

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

„ჯეომედია“
266-51-13; 593 209 526

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაშიც:
2-99-02-10; 599 797 679.

გაზეთი შეგვიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.

რედაქციას სასწრაფოდ ესაჭიროება კვალიფიციური დამკაბადონებელი. გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ: კოსტავას ქ. №21, II სართული. ტელეფონი: 599-79-76-79, 599-53-76-16, 599-36-00-35.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6951; ევრო - 3.1013;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5131;
100 რუბლი - 3.9742; თურქული ლირა - 0.4765;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5854;
1000 სომხური დრამი - 5.5695.

ამინდი 24 ოქტომბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +8, დღე +23
მთიანი რაიონები - ღამე +3, დღე +21
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +11, დღე +28
მთიანი რაიონები - ღამე +6, დღე +22
თბილისი: ღამე +11, დღე +23

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge